ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 22 თებერვალი 2007 №39 (2962) ფასი 50 თეთრი




## კახა კალაძე და აქილევსის შიში

საქართველოს ნაკრების კაპიტანი კიდევ ათი დღე დაისვენებს

2



## შოთა არველაძე ნივილ-კივილს შეჩვეულია

3



## ზაზა ფაჩულია: მე ეს შევძელი!

12



# არიიის!ე BENIT-YES!

## ლივერ მეოთხედ პულშია?

AFP ფოტოები



# პრეზენტაცია და პრეზენტი პროფლიგისგან

## მოცეკვავე კაცუნები უსაიდუმლოდ: 11 მატჩი და 1000 ლარი

ხვალ ეროვნული ჩემპიონატი განახლდება და სიახლესაც მოიტანს — უმაღლესი ლიგის მატჩებზე ლატარია-ბილეთები გაიყიდება, რათა ქომაგმა ფულიც მოიგოს და ბილეთის ყიდვასაც შეეჩვიოს.

გუშინ პროფესიული ფეხბურთის ლიგამ ამ ნოვაციის პრეზენტაცია მოაწყო. ღონისძიებაზე საფეხბურთო სამყაროს გარდა შოუ-ბიზნესის წარმომადგენლებიც იყვნენ. პროფლიგამ თავისი ჟურნალიც წარმოგვიდგინა, მაგრამ მთავარი სულ სხვა იყო — ფეხბურთის კომერციალიზაცია და 1000 ლარი თერთმეტი თამაშის გამოცნობისთვის...




# ათასი ლარი იმას, ვინც თერთმეტ თამაშს გამოიცნობს

გუშინ მიხეილ მესხის სახელობის სტადიონის ერთ-ერთ დარბაზში ქართული საფეხბურთო მილეთი შეიკრიბა — ფეხბურთის ფედერაციისა და პროფლიგის წარმომადგენლები, ყოფილი ფეხბურთელები, მოწვეული სტუმრები — ღონისძიების ორგანიზატორი პროფლიგა იყო, რომელმაც ორი პროექტის პრეზენტაცია მოაწყო




პროფლიგამ თავისი ჟურნალის მესამე ნომერი გამოსცა, რომელიც უწინდელებისგან განსხვავებულია. ჟურნალი თამარ ფოცხიშვილმა გააკეთა — მკვეთრი ფერები, რამდენიმე საინტერესო გრაფიკული ესკიზი, მაღალპოლიგრაფიული დონე — ამ ღირსებების გარდა ჟურნალში თავმოყრილია პროფლიგის პროექტების ნუსხა — ამ ყოველივეს თაობაზე პროფლიგის პრეზიდენტმა დიმიტრი რამიშვილმა ისაუბრა.

„გამოცემის უმთავრესი მიზანია, გულშემატკივარს პროფლიგის ის პროექტები გააცნოს, ბოლო ერთ წელიწადში რომ განახორციელდა?. ეს ჟურნალი მოიცავს პროფლიგის სპონსორებსაც — „ყაზბეგი“, „აქსისი“, „ჯეოსელი“ და „საქართველოს ბანკი“ — ეს კომპანიები ქართულ ფეხბურთს გვერდში უდგანან“ — ასეთნაირად წარადგინა პროფლიგის ჟურნალი რამიშვილმა.

თამარ ფოცხიშვილმა, ვინც ცნობილი კლიპრეჟისორის ბასა ფოცხიშვილის და გახლავთ, გუშინდელ პრეზენტაციაზე თანამშრომლობაც შესთავაზა ქართულ ფეხბურთში მოსაქმიანე ფოტორეპორტიორებს.

პროფლიგის პრეზიდენტმა ახალი პროექტიც წარმოგვიდგინა — უმაღლესი ლიგის მატჩებზე დასასწრები ბილეთი, რომელიც ამავე დროს წამახალისებელი ლატარიაცაა.

ამ ლატარია-ბილეთის ფასი 2 ლარია, რომლითაც თერთმეტი მატჩის შედეგია გამოსაცნობი. მოგება მხოლოდ თერთმეტივე შედეგის გამოცნობისთვის გაიცემა. ერთი ტირაჟის საპრიზო ფონდი 1 000 ლარია. ლატარიის წესებს დაწვრილებით ბილეთზე გაეცნობით. მატჩზე დასწრება ჯერჯერობით უფასო კი იქნება, მაგრამ ლატარია-ბილეთი იმისთვისაცაა გათვლილი, რომ ქომაგი ნელ-ნელა შეეჩვიოს სტადიონზე ბილეთით შესვლას.

ლატარია-ბილეთი პროფლიგის რისკიანი პროექტია, რაც საქართველოში ფეხბურთის კომერციალიზაციაზე და ეროვნული ჩემპიონატის მატჩებზე მაყურებლის მომრავლებაზეა გათვლილი.

პრეზენტაციაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი გოგი ქავთარაძე: „ლატარია-ბილეთის უმთავრესი მიზანია, სტადიონებს გულშემატკივარი დაუბრუნდეს და მათ საკმაოდ სოლიდური თანხის მოგების საშუალება გაუჩნდეთ. ეს არის ერთ-ერთი რგოლი იმ ჯაჭვისა, რომელსაც სხვა ნაბიჯები უნდა მოჰყვეს. ეროვნული ჩემპიონატის მატჩებზე ხალხი რომ მოვიდეს, ამას ხარისხიანი ინფრასტრუქტურა სჭირდება. ნელ-ნელა უნდა მივუახლოვდეთ ევროპულ სტანდარტებს. სახელმწიფო ქართულ ფეხბურთს გვერდში უდგას და თანადგომა გაგრძელდება. სტადიონები კერძო მფლობელობაში რომ გადადის, ეს უმნიშვნელოვანესი პროცესია“.

ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ლიგა ხვალ იწყება და მართლაც ძალიან საინტერესოა, როგორ შეითვისებს ლატარია-ბილეთს ჩვენი საფეხბურთო საზოგადოება.

**დავით თავართქილაძე**



დიმიტრი რამიშვილს პრეზენტაციაზე დაბადების დღეც მიულოცეს




ჟურნალის გაფორმებაში თამარ ფოცხიშვილს ბასაც დაეხმარა

# კახა კალაძე და აქილევსის შიში

## საქართველოს ნაკრების კაპიტანი კიდევ ათი დღე დაისვენებს



სელტიკელი კენი მილერი და კახა კალაძე

**ჩემპიონთა** ლიგის გუშინწინდელი „სელტიკი“ — „მილანის“ მატჩისას ძველი ტრავმა გაუმიზეზდა საქართველოს ნაკრების კაპიტანს. ექიმების ზუსტი პასუხი ჯერ უცნობია, თავად კახა კალაძე კი დაახლოებით ათდღიან უქმობას ვარაუდობს.

თვენახევრიანი პაუზის შემდეგ კახამ თამაში ახლახან, იტალიის ჩემპიონატის წინა ტურში განაახლა. კალაძეს აქილევსის მყესები ჰქონდა დაჭიმული და „სელტიკის“ ფეხბურთელმაც ფეხი სწორედ ქუსლზე მიარტყა. კახას მოედანზევე უწამლეს და მან თამაშიც განაგრძო, თუმცა მალევე შეცვლა ითხოვა...

... არა მგონია, ტრავმა სერიოზული იყოს, ადრე დაჭიმული მყესები ამტკივდა. სიარული მიჭირს, ჯერ საექიმოდაც არ წავსულვარ, თუმცა თავს ვატყობ, რომ ერთი კვირა, ათი დღე დასვენება მომიწევს. ვნახოთ, რას იტყვიან ექიმები, ზუსტი პასუხი ხუთშაბათს მეცოდინება.

... „სელტიკთან“ თამაშის ხარისხითაც და შედეგითაც კმაყოფილები ვართ. შემდეგ ეტაპზე გასასვლელად ახლა უკვე გაცილებით მეტი შანსი გვაქვს, რასაც ალბათ გამოვიყენებთ კიდეც. საპასუხო მატჩი რთული იქნება, მაგრამ მინიმალური ანგარიშით მოგებაც კი ლიგის მეოთხედფინალს მოგვიტანს.

... ჩემპიონატში სატურნირო მდგომარეობაც საგრძნობლად გამოვასწორეთ. ოთხეულამდე უკვე სულ ორი ქულა გვაშორებს. წლეულს სერია A-ში „მილანის“ მიზანი ოთხეული და ლიგის მომავალი გათამაშების საგზურის მოპოვებაა, თუმცა ბოლო დროს ისე კარგად ავთამაშდით, ალბათ სამეულშიც მოვხვდებით.

... ამ სეზონში გუნდს ყველაზე მეტი პრობლემა თავდასხმაში ჰქონდა. ზოგი ფორვარდი ფორმაში არ იყო, ზოგიც ტრავმებმა გატანჯა. რონალდოს მოსვლით კი „მილანი“ შესამჩნევად გაძლიერდა, შეტევაშიც იმდენი პრობლემა აღარ იქნება. მისმა გოლებმა და ჩინებულმა თამაშმა ბოლო ტურშიც მოგვაგებინა...

ეს ამბები კახა კალაძემ გუშინ მილანიდან გვამცნო.

**კობა ინასარიძე**

# იტალიამ შოტლანდია ბარიში დაიბარა

**დიდი** იმედი ჰქონდა შოტლანდიის ფეხბურთის ასოციაციას, რომ 28 მარტს ევრო 2008-ის შესარჩევ მატჩს სტუმრად იტალიის ნაკრებთან უმაყურებლოდ გამართავდა, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდა.

2 თებერვალს „კატანია“ — „პალერმოს“ მატჩში მომხდარი ტრაგიკული ამბების გამო იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ დროებით თვით ქვეყნის ჩემპიონატი შეწყვიტა. განახლების შემდეგ კი გარკვეულ სტადიონებზე მაყურებლების დასწრება აკრძალა. სწორედ ამისი ეიმედებათ შოტლანდიელებს.

გუშინ სქოთთა ფედერაციაში ფაქსი მოვიდა ფედერაციის პრეზიდენტ ლუკა პანკალის ხელმოწერით, რომელშიც შავით თეთრზე წერია, რომ 28 მარტს იტალია-შოტლანდიის მატჩი ქალაქ ბარიში, „სან ნიკოლას“ სტადიონზე გაიმართება და არენის კარი ყველასთვის ღია იქნება.

ჯერჯერობით მითითებული არ არის მატჩის დაწყების დრო და ისიც გაურკვეველია, როგორ განაწილდება ბილეთები. შოტლანდიელები დღეს ბარიში იტალიელ საფეხბურთო ჩინოვნიკებთან აპირებენ შეხვედრას, რათა უსაფრთხოების სრული გარანტია მიიღონ.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# მათემ ისევ ჩაიმუხლა

## დროის ამბავი: ღვინიანიძისთვის შოტლანდია ან იქნება, ან არა



მათე ღვინიანიძე და მიხაელ ბალაკი

საქართველოს ნაკრებისა და მეორე ბუნდესლიგის „მიუნხენის“ მცველი მათე ღვინიანიძე ისევ დაშავდა, დაახლოებით ერთთვიანი მკურნალობა და, სავარაუდოდ, 24 მარტს შოტლანდიასთან შესარჩევი მატჩის გამოტოვებაც მოუწევს. ღვინიანიძე „მიუნხენ“ — „დუისბურგის“ ფრედ დამთავრებული მატჩისას დაშავდა — მეტოქე თავდამსხმელმა ფეხი მუხლში ჩაარტყა და მათე უმალვე შესაცვლელი გახდა. თავდაპირველად ტრავმა ძალიან მძიმე ჩანდა, თუმცა მოგვიანებით ექიმებმა სხვანაირად თქვეს და ღვინიანიძეც შედარებით დამშვიდდა...

— დიაგნოზი ისეთი მითხრეს, რომ ორ-სამკვირიანი დასვენება მჭირდება, მუხლი არის დაჟეჟილი, რაც თავისებურ მკურნალობას მოითხოვს — გვითხრა მათე ღვინიანიძემ — არადა, როცა ფეხი ჩამარტყეს, მოტეხილობა მეგონა, საშინელი ტკივილი მქონდა. შემდეგ ექიმებმა რამდენჯერმე გამსინჯეს და დამაიმედეს, რომ თამაშის განახლებას მალე შევძლებ.

— ორი-სამი კვირა თუ დაისვენე, ერთი-ორი კვირაც ფორმის აღსადგენად დაგჭირდება. გამოდის, შოტლანდიასთან ვერ ითამაშებ.

— ვნახოთ, ახლა არ შემიძლია ვთქვა, ერთი თვის შემდეგ როგორ ფორმაში ვიქნები. 24 მარტის შეხვედრისთვის მოსამზადებლად რაც ჩემზე იქნება დამოკიდებული, ყველაფერს გავაკეთებ. კლუბის ხელმძღვანელობისგან და ექიმებისგან დიდ ყურადღებას ვგრძნობ და იმედი მაქვს, მათი დახმარებით თამაშს სავარაუდოზე ადრე განვაახლებ.

**— ამასობაში კი „მიუნხენს“ ბუნდესლიგაში გადასვლის შანსები მნიშვნელოვნად შეუმცირდა. არადა, პირველი წრის შემდეგ გუნდი ფავორიტებს შორის ითვლებოდა.**

— გეთანხმებით, პირველ წრეში „მიუნხენი“ ახლანდელზე გაცილებით უკეთ თამაშობდა და ბუნდესლიგაში გადასვლაზეც რეალურად ვფიქრობდით, მაგრამ ბოლო რამდენიმე მატჩი ჩავაგდეთ, ლიდერებს საკმაოდ ჩამოვრჩით და უკვე ძალიან გაგვიჭირდება მიზნის მიღწევა.

**— ჩავარდნის მიზეზებზე რას ამბობენ?**

— ჯერჯერობით ვერაფერს ამბობენ. თითქოს თამაშის ხარისხი არ გაუარესებულა, მაგრამ საჩვენო შედეგს ვერ ვაღწევთ. მოგების შანსი ყოველთვის მეტოქეზე მეტი გვაქვს, თუმცა მაინც არაფერი გამოგვდის.

**კობა ინასარიძე**



დღეს უეფას თასის მერვედფინალის საპასუხო შეხვედრაში შოთა არველაძის „ალკმაარი“ თურქეთის ჩემპიონატის ლიდერ „ფენერბაჰჩეს“ მასპინძლობს. ამ გუნდების პირველ შეხვედრაში (3:3) არველაძეს გრიპის გამო არ უთამაშია, შოთამ ჰოლანდიის ჩემპიონატის ბოლო ტურიც გამოტოვა, დღეს კი ალბათ მოუწევს მოედანზე გასვლა...

# წივილ-კივილს შეჩვეული ვარ

## ალკმაარი ოთხჯერ უფრო მდიდრებს ებრძვის

— ჯანზე კი ვარ, მაგრამ ჯერ არ ვიცი, სასტარტოში ვიქნები თუ არა — გვითხრა გუშინ არველაძემ.

**— სტამბულში „ალკმაარი“ 3:1-ს იგებდა და მატჩის ბოლო 15 წუთში გაუშვა გოლები. „ფენერბაჰჩესთან“ სტუმრად თამაში ძნელია და ალბათ მოულოდნელი იყო მოვლენების ასეთი განვითარება...**

— სტამბულში „ფენერბაჰჩესთან“ თამაში მართლაც ძალიან ძნელია, მაგრამ ის უფრო იყო მოულოდნელობა ორბურთიანი უპირატესობა რომ გავფლანგეთ.

**— როგორც უნდა იყოს, „ალკმაარს“ „ფენერთან“ უკვე პატარა ფორა აქვს და თან შინ თამაშობს...**

— შინ კი ვთამაშობთ, მაგრამ კარგად მოგეხსენებათ, რომ ჰოლანდიაში და მის მეზობელ ქვეყნებში საკმაოდ ბევრი თურქი ცხოვრობს. ქომაგობის მხრივ სტადიონზე „ალკმაარს“ დიდი უპირატესობა ნამდვილად ვერ იქნება. უკვე ჩამოვიდნენ „ფენერის“ ფანები — ამ გუნდს თურქეთში ყველაზე ტემპერამენტიანი გულშემატკივარი ჰყავს.

**— ფენერი“ როგორ ფეხბურთს თამაშობს?**

— შემტევი ფეხბურთი კარგად ეხერხება, „ფენერში“ გამორჩეულები ბრაზილიელი ლეგიონერები არიან.

**— თურქულ „ტრაბზონსპორში“ სამი სეზონი გითამაშია და თურქული ატმოსფერო შენთვის უცხო არუნდა იყოს...**

— მასეა, თურქულ ატმოსფეროს, თურქი გულშემატკივრების წივილ-კივილს შეჩვეული ვარ.

**— უეფას თასის ამ გათამაშებაში უკვე ორი ყვითელი ბარათი დაგიგროვდა, რაც ფორვარდისთვის ცოტა არ არის...**

— ერთი ბარათი „პადკატის“ გამო მივიღე, მეორე კი იმიტომ, რომ მსაჯის სასტვენის მერე დავარტყი ბურთს. ახლა ძალიან ფრთხილად უნდა ვიყო, რადგან თუ მესამე გაფრთხილებას მივიღებ, მომდევნო თამაშს გამოვტოვებ — მეოთხედფინალში გასვლის დიდი იმედი გვაქვს.

**— ჰოლანდიის ჩემპიონატში „ალკმაარი“ მესამე ადგილზეა — პრიორიტეტად უეფას თასს აირჩევთ?**

— „ალკმაარის“ მწვრთნელ ლუის ვან გაალისთვის ყველაფერი პრიორიტეტია, სულ მოტივირებულია და ყველაფრის მოგება სურს, მაგრამ რეალობაც გასათვალისწინებელია — ჰოლანდიაში ჩვენს კონკურენტ გუნდებს, პსვ-ს და „აიაქსს“ წლიური ბიუჯეტი 60-60 მილიონი ევრო აქვთ, ჩვენ კი ოთხჯერ ნაკლები...

**დავით თავართქილაძე**

# ოლიმპის ძალა სელექციაა

## რევაზ ძოძუაშვილი: ჩემპიონთა ლიგა არ გადამიჭარბებია

საქართველოს ჩემპიონატს რომ დაძაბული ფინიში ექნება, აქედანვე ჩანს. ხუთი-ექვსი გუნდი ცხრილის ზედა ნაწილში თაიგულივითაა შეკრული და თუ ახლანდელ სატურნირო ვითარებას შევხედავთ, ჩემპიონობის ოდნავ უკეთესი შანსი რუსთავის „ოლიმპს“ აქვს — რევაზ ძოძუაშვილის გუნდი ორი ქულით უსწრებს უახლოეს მდევრებს.

როგორ მოემზადა „ოლიმპი“ სამეორეწრეოდ, რამდენად კმაყოფილია გუნდის თავკაცი სასელექციო მუშაობით — მოკლედ, რევაზ ძოძუაშვილთან ინტერვიუს გავეცნოთ...



— საქართველოს კვალობაზე მოსამზადებელ პერიოდს დადებითად შევაფასებდი. ყველაფერი შედარებითია: ეროვნულ ჩემპიონატში გამარჯვება ასეთი მზადებითაც შესაძლებელია, მაგრამ თუ ჩემპიონთა ლიგაში გასვლა და „ბარსელონას“ დამარცხება გვინდა ჩემო ბატონო, ეს სხვაა...

**— ზედა ექვსეულის გუნდებიდან „ოლიმპი“ ერთადერთია, უცხოურ შეკრებაზე რომ არ ყოფილა. ეს არ დაეტყობა გუნდს?**

— ჩვენ სასელექციო მუშაობას უფრო მეტი ყურადღება მივაქციეთ, ვიდრე სავარჯიშო პროცესს.

**— ახალწვეულებზე რას იტყვით, რამდენად გაკმაყოფილებთ მათი დონე?**

— ნავალოვსკი, ჭიჭველიშვილი, მერლანი, გოცირიძე, არზიანი საკმაოდ კარგი ფეხბურთელები არიან. ვფიქრობ, „ოლიმპი“ მათი მოსვლით გაძლიერდა.

**— მეორე წრისთვის შემადგენლობა საბოლოოდ დააკომპლექტეთ?**

— თუ კარგი ფეხბურთელების დამატების შანსი გაგვიჩნდება, უარს რატომ ვიტყვით... მართალია, განსაკუთრებული პრობლემები არც ერთ რგოლში არ გვაქვს, მაგრამ უფრო გაძლიერება არ გვაწყენდა.

**— ზურაბ მენთეშაშვილის იჯარით აყვანის შანსი გამოირიცხა?**

— არა, მენთეშაშვილზე კიდევ მიდის მოლაპარაკება. ის ამჟამად უცხოეთშია, მაგრამ კავშირი გვაქვს და ვნახოთ...

**— კონკურენტი გუნდებიდან ვის გამოარჩევთ?**

— ხუთი-ექვსი გუნდი თანაბარი დონისაა, რაც ძალიან კარგია — დაძაბულობა გააძლიერებს ეროვნულ ჩემპიონატს.

**— აქვე „მერი“ — „დინამოს“ სათასო მეოთხედფინალის პირველ მატჩზეც გკითხავთ. პროფესიული თვალით როგორ შეაფასებდით ამ თამაშს?**

— არ მოველოდი, ასეთი კარგი თამაში თუ იქნებოდა. რაც უნდა იყოს, ამხელა შესვენების შემდეგ პირველი ოფიციალური მატჩი იყო, თანაც ამინდიც არ ვარგოდა. „მერმაც“ და „დინამომაც“ მობილურად ითამაშეს, თავიანთი სახე დაგვანახვეს.

**— „ოლიმპში“ მისვლისთანავე თქვით, გუნდი ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე გასასვლელად იბრძოლებსო. ახლაც რეალურად გეჩვენებათ ეს?**

— რატომაც არა. ნებისმიერმა ამბიციურმა გუნდმა მიზანი ეტაპობრივად უნდა დაისახოს. ჩვენ ჯერ საქართველოს ჩემპიონობისთვის უნდა ვიბრძოლოთ და თუ მიზანს მივაღწევთ, მერე გამოჩნდება კარი, რომლითაც ლიგის ჯგუფურ ეტაპზეც შეიძლება გასვლა. ვგულისხმობ სელექციას — თუ ლიგის საკვალიფიკაციო რაუნდების წინ ძლიერ ფეხბურთელებს დავამატებ, რატომ არ შეიძლება, ჯგუფში შესვლაზე იფიქრო?! ასე რომ, ჩემპიონთა ლიგაში გსურს თამაში-მეთქი, ხმამაღალი და გადამეტებული ნათქვამი არ ყოფილა.

**ილია ნანობაშვილი**

# თურქეთი ლატვიაშიც გაუკვირდათ

## გამეზარდაშვილისთვის სკონტო სანაკრებო იმედია



ცოტა უცნაურად აეწყო საქმე ქუთაისის „ტორპედოს“ ყოფილ ფეხბურთელ დავით გამეზარდაშვილს. შარშანდელი სეზონის ბოლოს რიონისპირული გუნდიდან რიგის „სკონტოში“ გადასული მცველი იქაურობას ვერ მოერგო და ლატვიელებმა ისევ „ტორპედოში“ გამოანათხოვრეს. 24 წლის ფეხბურთელმა ეროვნული ჩემპიონატის პირველი წრე მაღალ დონეზე ითამაშა და ერთ-ერთი გამორჩეული იყო. მისი კარგი თამაში ნაკრების მწვრთნელებმაც შეამჩნიეს და ურუგვაისთან ამხანაგური მატჩისთვის გამოიძახეს, მაგრამ გამეზარდაშვილის სანაკრებო დებიუტი არ შედგა — იმ შეხვედრაში კლაუს ტოპმიოლერმა მისი თამაში მიზანშეწონილად არ მიიჩნია. დეკემბერში გამეზარდაშვილმა ისევ „სკონტოს“ მიაშურა. ლატვიაში სეზონი არ დაწყებულა და გუნდი ჯერჯერობით მხოლოდ ემზადება. შეკრებებზე გამეზარდაშვილმა ყველა შეხვედრაში ითამაშა და გოლის გატანაც მოსწრო. მეორე შეკრებიდან „სკონტო“ რიგაში გუშინ დაბრუნდა და ჩვენც იქ შევეხმიანეთ გამეზარდაშვილს...

— მეორე შეკრებიდან ორი საათის წინ დავბრუნდით. გუნდი ნაყოფიერად ემზადება ჩემპიონატისთვის. ლატვიაში „სკონტო“ ძალიან პოპულარულია, თუმც ბოლო ხანებში ტიტულებს ველარ იგებს, მაგრამ წელსაც საჩემპიონო ამბიციით ემზადება. პირველობის დაწყებამდე კიდევ ერთი შეკრება იგეგმება ჰოლანდიაში. მოკლედ, ჩვენგან მხოლოდ ჩემპიონობას ითხოვენ.

— შენ როგორ მოერგე გუნდს?

— ნორმალურად. საწვრთნელი პროცესი არ ჩამიგდია, ფიზიკურად კარგად ვარ, არაფერი მაწუხებს. გუნდსაც კარგად შევეწყვე და რაც მთავარია, ვთამაშობ.

— ერთ-ერთ შეხვედრაში შეგცვალეს, რა იყო ამის მიზეზი?

— მეტოქის იდაყვი მომხვდა ცუდად და სახე გამისივდა, სერიოზული არაფერი, მომდევნო თამაში ისევ სრულად ვითამაშე.

— იმ მატჩში თერთმეტმეტრიანი გაიტანე. „სკონტოს“ ვებგვერდზე ცნობით, „ტორპედოში“ შენ პენალტებს მიჩვეული იყვნენ, მანდაც გენდობიან?

— არა, პენალტი არ გამიტანია, სტანდარტული სიტუაციის დროს მეტოქის საჯარიმოში ვიყავი, ბურთი ორთაბრძოლის დროს ძირს დავარდა და ფეხით გავიტანე.

— „სკონტოში“ ქართველები მუდამ პოპულარულები იყვნენ, შენ და ზაალ ელიავას როგორ გექცევიან?

— ძალიან ყურადღებიანი და თბილი ხალხია, კარგად გვექცევიან. თურქეთთან თამაშის შემდეგ კი ზაალი მათ თვალში ათი თავით ამაღლდა. ის შეხვედრა მართლაც ფანტასტიურად ითამაშა. მიმაჩნია, რომ მარცხენა ფრთა ნაკრების ერთ-ერთ სუსტი წერტილი იყო, ხოლო, ელიავამ ყველაფერს კარგად გაართვა თავი.

— მთლიანობაში რას იტყვი თურქეთთან მატჩზე?

— კი. ძალიან კარგი თამაში იყო. რაც შეეძლოთ, ბიჭებმა ყველაფერი გააკეთეს და ღირსეულად მოიგეს. გუნდშიც გაკვირვებულები იყვნენ, ამ შემადგენლობით თურქებს როგორ მოუგეთო. თანაც ხომ გახსოვთ, ლატვიელებმა სწორედ თურქეთის ნაკრებს მოუგეს 2002 წლისა ევროპის ჩემპიონატის პლეი ოფში და ფინალურ ეტაპზე გავიდნენ. იმედია, უახლოეს დროში შევძლებთ ევროპის ან მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშს, ამის პოტენციალი ნაკრებს ნამდვილად გააჩნია — ეს თურქებთან მატჩში გამოჩნდა.

— თურქებთან ელოდი გამოძახებას?

— სიმართლე გითხრა, რამდენიმე ფეხბურთელის არყოფნის დროს პატარა იმედი კი მქონდა, მაგრამ... ისე, იმედი ჯერ არ დამიკარგავს, ახლა მთავარია, „სკონტოში“ ხშირად ვითამაშო და ჩემი ძალა დავამტკიცო.

— ერთიც — ყოფილმა სკონტოელმა ზურაბ მენთაშაშვილმა თქვა, ვარჯიში ლატვიაში უნდა გავაგრძელოო, ისევ თქვენთან ხომ არ არის?

— არა, ჩვენთან არ არის, მაგრამ ვიცი, რომ რიგაშია, სად ვარჯიშობს, არ ვიცი.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# პროცესი გადაიდო

## ირინამ დემეტრაძე მოიკითხა




**კიევში,** პეჩორის რაიონულ სასამართლოში დაწყებული „დემეტრაძის საქმის“ განხილვა 2 მარტისთვის გადაიდო.

როგორც ცნობილია, დონეცკის „მეტალურგის“ ქართველმა სასამართლოში სარჩელი უკრაინაში ლეგიონერების ლიმიტის გაუქმების მოთხოვნის გამო შეიტანა. სარჩელი უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის და პროფესიული ლიგის წინააღმდეგ არის მიმართული.

20 თებერვალს სასამართლომ საქმის მოსმენა დაიწყო. დემეტრაძე „მეტალურგთანაა“ ჰოლანდიურ შეკრებაზე და მის ინტერესებს დონეცკელი ადვოკატი კონსტანტინ კოლომიეცი იცავდა, ფედერაციას და პროფესიულ ლიგას კი ხუთი ადვოკატი დაუქირავებიათ.

როგორც მოსალოდნელი იყო, ფედერაციამ და პფლ-მა დემეტრაძის პრეტენზიები უსაფუძვლოდ მიიჩნიეს. ამასთან გაოცებულნი დარჩნენ, თუ ფეხბურთელი დაინტერესებულია თავისი სიმართლის დაცვით, რატომ არ გამოცხადდა სასამართლოზეო.

დემეტრაძის ადვოკატის განცხადებით, ფეხბურთელს აქვს საპატიო მიზეზი, რის გამოც ვერ ესწრებოდა საქმის განხილვას და, როგორც მისი ინტერესების დამცველმა, სასამართლოს სთხოვა, აქცენტი საქმეზე გადაეტანათ და შეახსენა, რომ ლეგიონერთა ლიმიტის დაწესება უკრაინის კონსტიტუციის 26-ე სტატიის დარღვევაა.

სასამართლომ გაითვალისწინა ფეხბურთელის არყოფნა, აგრეთვე ჩათვალა, რომ საქმისთვის დამატებითი საბუთების მოძიებაა საჭიროა და მოსამართლის, ირინა ლიტვინოვას გადაწყვეტილებით პროცესი 2 მარტისთვის გადადო იმ პირობით, რომ სასამართლოში აუცილებლად უნდა გამოცხადდეს დემეტრაძე.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# გვაზავა და ამისულაშვილი დამუხრუჭდნენ

**რუსეთის** საფეხბურთო კავშირის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა ნალჩიკის „სპარტაკს“ ახალ ფეხბურთელებთან კონტრაქტების გაფორმება აუკრძალა. მიზეზი კი ისაა, რომ ყაბარდოელ კლუბს მოთამაშეებთან კონტრაქტების ფორმა დაუწუნეს. ვითარების გამოსასწორებლად კომიტეტმა ნალჩიკელებს ერთი კვირა მისცა.

მოკლედ, საინტერესოა, რა ბედი ეწევათ ალეკო ამისულაშვილსა და ლევან გვაზავას. ამისულაშვილი გასინჯვაზეა „სპარტაკში“ და ერთი ტესტ-მატჩი უკვე ჩაატარა, გვაზავა კი შარშან ზაფხულს მივიდა ნალჩიკში და კლუბი მასთან კონტრაქტის გაგრძელებას აპირებდა.

ამისულაშვილი — გვაზავას გუნდი გუშინწინ თურქეთში გაემგზავრა შეკრებაზე.

**ილია ნანოგაშვილი**

# მოწონებული დაიწუნეს



**საქართველოს** ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი ფეხბურთელის, გიორგი ციმაკურიძის ალჩევსკის „სტალიდან“ ზაპოროჟიეს „მეტალურგში“ ტრანსფერი ჩაიშალა. კლუბის ხელმძღვანელებმა პირდაპირ განაცხადეს, რომ ზამთრის შესვენების დროს გუნდი ახალ ფეხბურთელებს არ შეიძენს.

უკრაინელი ჟურნალისტები კლუბის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელ ანდრეი კურგანსკის სწორედ ციმაკურიძისა და კიდევ ერთი ფეხბურთელის, ვლადისლავ გოლოპეროვის, შესახებ შეეკითხნენ.

— ისინი ჩვენთან მხოლოდ სინჯებზე იყვნენ. ასეთები გუნდში მრავლად მოდიან. თუ ვინმემ კლუბი დატოვა, ეს არ ნიშნავს, რომ „მეტალურგი“ ფეხბურთელების დამატებას არ აპირებს... რაც შეეხება ციმაკურიძეს, გიორგი მწვრთნელს კი მოსწონდა, მაგრამ მის გუნდში დატოვებაზე სერიოზული საუბარი არასდროს გვქონია — განაცხადა კურგანსკიმ.

# ფლაკის შარიანი შარდი



**სერიოზულ** შარშია გენუის „სამპდორიას“ ფორვარდი ფრანჩესკო ფლაკი, ვინც კოკაინის ხმარებაში ამხილეს და თუ განმეორებითი ტესტი იგივე შედეგს აჩვენებს, „ფიორენტინას“ ყოფილ თავდამსხმელს, სულ მცირე, ერთწლიანი დისკვალიფიკაცია ემუქრება. დიდი შანსია, სასჯელი უფრო მკაცრიც იყოს.

28 იანვარს სერია A-ს 21-ე ტურის მატჩში „ინტერმა“ „სამპდორიას“ 2:0 მოუგო. ფლაკი 69-ე წუთზე ემილიანო ბონაცოლიმ შეცვალა.

შეგახსენებთ, რომ ფლაკის ცოტა ხნის წინაც ჰქონდა პრობლემები — სექტემბერში ორთვიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს, რადგან ფულზე თამაში დაუმტკიცდა.

**ბოკი ბანდელაკი**

# ემერსონმა წაუეტორა

**იმ** დონემდე სძულს ფანობას ბრაზილიელი ემერსონი, რომ საწყალ კაცს მოედანზე გასვლისა ეშინია.

ემერსონს მადრიდელი გულშემატკივრები საქმისადმი ზერელე დამოკიდებულებაში ადანაშაულებენ და უნიჭოდ მიიჩნევენ. ოკეანისგაღმელისთვის „რეალის“ ბოლო თამაშები წამებად იქცა, როგორც კი ბურთს მიიღებდა, ტრიბუნები სტვენითა და საშინელი გინებით იკლებდნენ იქაურობას.

„მარკამ“ კი გამოარკვია, რომ ემერსონს „ბაიერნთან“ შეხვედრაში ხალხის ანგარიშსწორებისა შეშინებია და, კაპელოს მოთხოვნის მიუხედავად, მოედანზე არ გავიდა.

კაპელოს ემერსონისთვის უთქვამს, გახურდი, შეცვლაზე უნდა შეხვიდეო. როცა ბრაზილიელი მოთელვისთვის ემზადებოდა, მავანი თანაგუნდელი მისკენ შეტრიალდა და უთხრა: „არ გირჩევ მოედანზე გასვლას. შენც კარგად იცი, ხალხი რა ობსტრუქციასაც მოგიწყობს.“

ეს იყო, ემერსონმა ეშმაკს მიაფურთხა და ისევ სათადარიგოთა სკამზე დაჯდა. კაპელომ კი გუტი და გაგო მოედანზე დატოვა...

ბრაზილიელი დონ ფაბიოს საყვარელი შეგირდია. იტალიელს ემერსონი „რომაშიც“ ჰყავდა, „იუვენტუსშიც“ და „რეალში“ წაიყვანა. თუმცა მწვრთნელის ფავორიტს ესპანეთის სატახტოში თამაში ჩაუვარდა და გულშემატკივრებმაც შეიძულეს. ფანები გუნდიდან მის დაუყოვნებლივ გაშვებას მოითხოვენ.

**ლადო ხომერიკი**

## ტონიმ ტონს აუწია

**„ფიორენტინას“** ფორვარდი, მსოფლიოს ჩემპიონი ლუკა ტონი გააბრაზა ჭორმა, რომელიც „იუვენტუსში“ მის შესაძლო გადასვლას ეხება. „ახლა ტრანსფერებზე უფრო მეტს ლაპარაკობენ, ვიდრე თამაშზე. ხუმრობა იქით იყოს და, ეს უკვე მაღიზიანებს, რადგან ვიცი, არის ხალხი, რომელიც ამ ჭორებს შეგნებულად ჩემ გასაბრაზებლად იგონებს. მე ვარ „ფიორენტინას“ ფეხბურთელი და არსად წასვლას არ ვაპირებ“ — განაცხადა ტონიმ.

## ვის უნდა ოცი ათასი ვიგოში

**მოსკოვის** „სპარტაკის“ პატრონმა ლეონიდ ფედუნმა ფეხბურთელებს გამოუცხადა, რომ უეფას თასის მერვედფინალში გასვლის შემთხვევაში პრემიებს მიიღებენ — თითოეული მოთამაშე, ძირითადი თუ სათადარიგო, 20 ათას დოლარს.

## კაპიტნის კოპ-დასასრული

**ურუგვაის** ნაკრების კაპიტანმა დარიო როდრიგესმა თქვა, რომ წლეულს „კოპა ამერიკის“ შემდეგ ეროვნულ გუნდში აღარ ითამაშებს.

„ეს იქნება სანაკრებო კარიერის შესანიშნავი დასასრული“ — აღნიშნა „შალკეს“ ლეგიონერმა ჟურნალ „რევიერსპორტთან“ ინტერვიუში.

როდრიგესს 42-ჯერ მოურგია ურუგვაის ნაკრების მაისურა და უნდა, რომ „შალკესთან“ კონტრაქტის ამოწურვის შემდეგ (2008 წლის ივნისი) ფეხბურთის თამაში სამშობლოში გააგრძელოს.

## ყვითელი შეტევა ბაჭიაზე

**„ვილიარეალი“** ბარსელონელ სავიოლას წინასწარი კონტრაქტის გაფორმებას სთავაზობს. „ბაჭიამ“ ეტოოს არყოფნაში ბლომად გოლები შეყარა, მაგრამ მაინც კმაყოფილოა, რადგან ფრანკ რაიკარდი ცოტას ათამაშებდა. მისი ხელშეკრულება „ბარსასთან“ ამ ზაფხულს იწურება, ის კი გახანგრძლივებას არ ჩქარობს.

SKY-ის ცნობით, „ყვითლები“ სავიოლას სამწლიან კონტრაქტს უმზადებენ.

„ვილიარეალმა“ უკვე დაიბევა „ვალენსიას“ არგენტინელი მცველი რობერტო აიალა, ვინც სეზონის ბოლოს გადავა ამ გუნდში.

**ვაჟა ხუციშვილი**

## UEFA CUP უეფას თასი 2006-07. 1/16 ფინალი. საპასუხო მატჩები

**დღეს**

| |
|---|
| სელტა (ესპანეთი) — სპარტაკი (რუსეთი) (1:1) |
| სევილია (ესპანეთი) — სტიაუა (რუმინეთი) (2:0) |
| პარმა (იტალია) — ბრაგა (პორტუგალია) (0:1) |
| პანათინაიკოსი (საბერძნეთი) — ლანსი (საფრანგეთი) (1:3) |
| ნიუკასლი (ინგლისი) — ზულტე-ვარეგემი (ბელგია) (3:1) |
| ოსასუნა (ესპანეთი) — ბორდო (საფრანგეთი) (0:0) |
| მაკაბი (ჰაიფა, ისრაელი) — ცსკა (რუსეთი) (0:0) |
| ნანსი (საფრანგეთი) — შახტარი (უკრაინა) (1:1) |
| ბლექბერნი (ინგლისი) — ლევერკუზენი (გერმანია) (2:3) |
| ალკმაარი (ჰოლანდია) — ფენერბაჰჩე (თურქეთი) (3:3) |
| რეინჯერსი (შოტლანდია) — ჰაპოელი (თელ ავივი, ისრაელი) (1:2) |
| აიაქსი (ჰოლანდია) — ვერდერი (გერმანია) (0:3) |
| პსჟ (საფრანგეთი) — აეკ (საბერძნეთი) (2:0) |
| ესპანიოლი (ესპანეთი) — ლივორნო (იტალია) (2:1) |
| დინამო (რუმინეთი) — ბენფიკა (პორტუგალია) (0:1) |



ანტუან სიბიერსკის „ნიუკასლი“, ფაქტობრივად, მერვედფინალშია

AFP

# ვინ იქეიფებს თელ ავივში?

## ამსტერდამში ვერდერს ბავშვებს დაახვედრებენ

**უეფას** თასის ოდინდელმა მფლობელებმა, „აიაქსმა“, „პარმამ“ და მოსკოვის ცსკა-მ, პირველ მატჩებში ვერაფრით გაახარეს გულშემატკივრები და დღეს საქმის გამოსწორება მოუწევთ.

ხსენებული სამი გუნდიდან ყველაზე ცუდ დღეში ამსტერდამის „აიაქსია“, რადგან ტრავმებმა და დისკვალიფიკაციებმა დატანჯა. ერთი კვირის წინ ბრემენში 0:3 დამარცხებული გუნდის მწვრთნელი ჰენკ ტენ კატი ამბობს: „ვერ ვიტყვი, რომ შანსი არ გვაქვს, მაგრამ, ცხადია, სამბურთიანი სხვაობის გაბათილება ძალიან გაგვიჭირდება.“

ნახევარმცველები, გაბი და ოლაფ ლინდენბერგი დისკვალიფიცირებულნი არიან. ედგარ დავიდსმა უეფას თასზე „ტოტენჰემში“ ითამაშა და „აიაქსს“ ამის გამო ვერ დაეხმარება. მცველები, ურბი ემანუელსონი, ზდენეკ გრიგერა და ტომას ვერმაელენი კი დაშავდნენ. ძირითად შემადგენლობაში გამოჩნდებიან 18 წლის მიჩელ დონალდი და 17 წლის ვურნონ ანიტა.

„პარმამ“ კლაუდიო რანიერის ხელში ორი მატჩი წააგო. ახალმა მწვრთნელმა ჯერ ხელი ვერ დაატყო გუნდს, მაგრამ ის კი შეიტყვეს მისგან, რომ უეფას თასზე ჯახირს და ნერვების მოშლას ურჩევნია, მთელი ყურადღება სერია A-ზე გადაიტანოს, რათა სეზონის ბოლოს B-ში არ აღმოჩნდეს. უეფას თასის ორგზის მფლობელი ამჟამად ჩემპიონატში ბოლოდან მეორე ადგილზეა და დღეს „ბრაგას“ მასპინძლობს, ვისთანაც ერთი კვირის წინ თამაშის მიწურულს გაშვებული გოლით დამარცხდა.

ამასობაში „ბრაგაში“ მწვრთნელის გამოცვლა მოასწრეს — გონსალვეში გაუშვეს და ჟორჟე კოშტა დანიშნეს. აქვე ისიც ვთქვათ, რომ პარმელებს „სამპდორიასთან“ შეხვედრაში გამთამაშებელი დომენიკო მორფეო მსუბუქად დაუშავდათ და, ალბათ, რანიერი მას დაასვენებს.

ვალერი გაზაევმა „მაკაბისთან“ საშინაო მატჩის შემდეგ ცსკა-ს ფეხბურთელები ვლადიკავკაზში, თერგისპირა რესტორანში აქეიფა დარდის გასაქარვებლად და უთხრა, აქ ვერ მოიგეთ, მაგრამ ისრაელში უნდა იმარჯვოთო. დღეს თელ ავივში „ბლუმფილდის“ 16-ათასიან სტადიონზე ცსკა-ს მძიმე ბრძოლა ელის, სადაც გაირკვევა, თუ ვის ექნება ნამატჩევს სარესტორნედ საქმე.

„ჩვენ არ ვართ ფავორიტები ამ წყვილში, რადგან ცსკა რუსეთის ჩემპიონია, ჩემპიონთა ლიგაში თამაშობდა და შარშანწინ უეფას თასი მოიგო, რაც ამ გუნდის მაღალ კლასზე მეტყველებს, მაგრამ მე სენსაციის სუნი მცემს“ — განაცხადა „მაკაბის“ მწვრთნელმა რონი ლევიმ.

მასპინძლებს არ ეყოლებათ კაპიტანი იანივ კატანი, ფორვარდი, რომელსაც თვალი დაუზიანდა ჩემპიონატის მატჩში და ათი დღე დასვენება მოუწევს.

უეფას თასის ამჟამინდელი პატრონი „სევილია“ „სტიაუას“ უმასპინძლებს და თუ ისევე ითამაშა, როგორც ბუქარესტში, ღიღინით გავა მერვედფინალში. ბუქარესტში კი ესპანელებმა ორბურთიანი სხვაობით მოიგეს და საქმე წინ წაიგდეს.

„რამდენიმე კვირის წინ ხალხი ამბობდა, რომ „სევილია“ ისეთი ძლიერი ველარაა, შარშან რომ იყო, მაგრამ ახლა ხომ ხედავთ, რომ პრიმერადივიზიონში ლიდერს ქულებით გავუთანაბრდით, უეფას თასზე კი ცალი ფეხით მერვედფინალში ვართ“ — თქვა ბრაზილიელმა ნახევარმცველმა დანიელ ალვესმა.

ხუანდე რამოსმა, შესაძლოა, დაასვენოს ფრედერიკ კანუტე და მის ნაცვლად ალექსანდრ კერჟაკოვი ან ერნესტო ჩევანტონი ათამაშოს.

„ბლექბერნის“ მწვრთნელი მარკ ჰიუზი იმედიანადაა და მიაჩნია, რომ მისი გუნდი „ლევერკუზენთან“ სასურველ შედეგს მიაღწევს. მათ გერმანიაში 2:3 წააგეს და მერვედფინალში გასასვლელად 1:0 ჰყოფნით. „ბლექბერნის“ შანსი გაიზრდება, თუ სადღეისოდ გამოკეთდება ნორვეგიელი შემტევი მორტენ გამსტ პედერსენი, რომელიც ხორვატიასთან სანაკრებო ამხანაგურ მატჩში დაშავდა.

**ვაჟა ხუციშვილი**

ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვას
წარმოგიდგენთ VEGA SLOT

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემპიონთა ლიგა 2006-2007
## მერვედფინალი. პირველი მატჩები
















# როცა სიმშვიდე იხუთება
## მოგებულმა წააგო და წაგებულმა მოიგო?

**რეალი (ესპანეთი) 3:2 ბაიერნი (გერმანია)**
1:0 რაული (12), 1:1 ლუსიო (23), 2:1 რაული (28), 3:1 ვან ნისტელროი (34), 3:2 ვან ბომელი (88)
რეალი: კასილიასი, რობერტო კარლოსი (რაულ ბრავო 59), ფ. კანავარო, ელგერა, მ. ტორესი, გუტი, გაგო, იგუაინი (რობინიო 53), ბექჰემი, რაული, ვან ნისტელროი
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
ბაიერნი: კანი, სანიოლი, ლუსიო, ვან ბუიტენი, დემიკელისი (სალიჰამიჯიჩი 46), ლამი, ჰარგრივსი, ვან ბომელი, შვაინშტაიგერი (შოლი 79), პოდოლსკი (კ. პიზარო 61), მაკაი
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
გაფრთხილება: დემიკელისი, შვაინშტაიგერი, ჰარგრივსი
მსაჯი: ფ. დე ბლიეკერი (ბელგია)
75 000 მაყურებელი

**რაც** „რეალმა" პირველ 45 წუთში მოინაგრა, უსუსურად ჩატარებულ მეორე ტაიმში ქარს გაატანა. კასტილიელებმა გერმანელებს 3:2 მოუგეს, მაგრამ ფაბიო კაპელოს გუნდი საპასუხო შეხვედრას მშვიდად ნამდვილად ვერ დაელოდება — „ალიანს არენაზე" „რეალის" წახდენას 0:1 ჰყოფნის.

რას უნდა დაბრალდეს „სამეფო კლუბის" საშინელი მეორე ტაიმი — ფიზიკურ გამოფიტვას თუ მწვრთნელის შეცდომას? ეს ძნელი სათქმელია, ცხადი კი ის არის, რომ მრისხანე მასპინძლები არცთუ ისე ძლიერ „ბაიერნთან" მეორე ნახევარში სადღაც ჩაიფერფლნენ...

როგორც ვვარაუდობდით, კაპელომ ემერსონი არ ათამაშა და ცენტრი გუტი-გაგოს დუეტს მიანდო.

თეთრებმა თამაში ისე დაიწყეს, ჩანდა, სტუმრებს თავიდანვე უპირებდნენ შეჭმას — კარგა ხანია, „ბერნაბეუს" ასეთი გავეშებული და საომრად შემართული „რეალი" არ ენახა. „ბაიერნზე" კი იმის თქმა შეიძლება, რომ ჯერჯერობით ლეგენდარული წარსულის აჩრდილია...

ანგარიში მალევე გაიხსნა. მე-12 წუთზე რაულმა რუუდ ვან ნისტელროის კარგი პასით ისარგებლა, ოლივერ კანს აჯობა და ტაბლოზე 1:0 აანთო. მერე ცოტა უცნაური რამ მოხდა: მადრიდელებმა უკან დაიწიეს და ანგარიშის შენარჩუნებაზე დაიწყეს ზრუნვა. „ბაიერნმაც" შანსი ხელიდან არ გაუშვა: ვილი სანიოლის ჩაწოდებას ლუსიო დაუხვდა აულებელი თავურით — ბრაზილიელმა საჰაერო ბრძოლაში ფაბიო კანავაროს აჯობა — 1:1.

მეორე დღეს ესპანურმა გაზეთებმა დაწერეს, კანავაროს „გენერლის სამხრეები" შველის, თორემ მის ადგილას პავონი ან მეხია რომ იყოს, კაპელო ბედოვლათ მცველს ბოლო რამდენიმე ტურში სათადარიგოთა სკამს გაათბობინებდაო...

„რეალმა" მიუნხენელებს ხურდა ხუთ წუთში დაუბრუნა — კასტილიელთაგან საუკეთესო დევიდ ბექჰემმა კუთხური ჩააწოდა და ივან ელგერას თავურს რაულმა თავითვე გადააკვეთინა კარის ხაზი...

რამდენიმე წუთიც და, ისევ ბექჰემის საჯარიმოს და ელგერას თავურის შემდეგ ვან ნისტელროიმ „ბაიერნის" კარი მესამედ დალაშქრა. ბავარიელთა უკანა ხაზი მთელი მატჩის განმავლობაში მოისუსტებდა, მაგრამ ეს გოლი საეჭვო თამაშგარედან გავიდა...

მადრიდელ გულშემატკივრებს კი სიხარულისგან რა ექნათ, აღარ იცოდნენ — შარშან ნოემბერში „რასინგთან" რომ იყოჩაღეს, მას შემდეგ სამეფო თეთრებს შინაურ არენაზე ამდენი გოლი ვერ გაეტანათ...

შესვენების შემდეგ „რეალმა" ინიციატივა მთლიანად სტუმრებს დაუთმო. მადრიდელთა ერთადერთი სახიფათო ეპიზოდი ბექჰემის საჯარიმო დარტყმა გახლდათ, რომელიც ბებერმა კანმა ხარიხის წახმარებით მოიგერია.

ყველაფერთან ერთად, რობერტო კარლოსს ტრავმა გაუმიზეზდა და 59-ე წუთზე კაპელო იძულებული გახდა, იგი რაულ ბრავოთი შეეცვალა...

„ბაიერნი" ბურთისა და მოედნის სრული ბატონ-პატრონი გახდა, მადრიდელები კი ოტმარ ჰიცფელდის ბიჭების შეტევებს უთავბოლოდ იგერიებდნენ.

საკმაოდ გააძლიერა შეტევა შეცვლაზე შესულმა კლაუდიო პიზარომ, რომლის სახიფათო გასროლის შემდეგ იკერ კასილიასმა „რეალი" ძლივს გადაარჩინა...

წერტილი კი მატჩს ექსბარსელონელმა მარკ ვან ბომელმა დაუსვა უძლიერესი დარტყმით და სიხარულისგან გაშმაგებულმა უწესო ჟესტიც აჩვენა „ბერნაბეუს".

და აქვე ერთი საინტერესო სტატისტიკური დეტალიც: როცა „რეალს" საპასუხო მატჩში ერთბურთიანი უპირატესობის დაცვა სჭირდებოდა, ჩემპიონთა ლიგის მომდევნო ეტაპზე ვერასოდეს გაუღწევია.

**ლადო ხომერიძე**



# ფაბიო კაპელო: გაიგეთ: შემადგენლობის შერჩევაში არავინ მერევა!

— „რეალმა" კი მოიგო, თუმცა თქვენმა გუნდმა მეორე ტაიმში გვარიანად იწვალა...

— კარგი ის არის, რომ მოვიგეთ. სამი გოლი გავიტანეთ, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. მეტოქემ კი თამაში მეორე ტაიმში გამოასწორა. ბოლო გოლის თავიდან აცილებაც შეგვეძლო, მაგრამ, როგორც უკვე გითხარით, მთავარი მოგებაა.

— „რეალის" გამოცოცხლება რას უნდა მივაწეროთ?

— ჩემპიონთა ლიგა განსაკუთრებული ტურნირია და იქ თამაშისას ყველანი ძალიად ყურადღებიანად ვართ. ქომაგებიც ძალიან დაგვეხმარნენ — მათ მძლავრ მხარდაჭერას ვგრძნობდით.

**— შესვენების შემდეგ თამაშის სურათი რამ შეცვალა?**

— „ბაიერნმა" სამი საჭირო შეცვლა გააკეთა. სხვა ფაქტორებიც იყო, მაგალითად, გუნდს, რომელიც 3:1 იგებს, გულში, ცოტა არ იყოს, შიში ეპარება.

— რას გულისხმობთ?

— ამის ახსნა არ შემიძლია. ეს დაახლოებით იმას ჰგავს, ჩოგბურთელს გადამწყვეტი მოწოდების დროს მკლავი რომ აუკანკალდეს. თუ ფეხბურთი გითამაშიათ, ეს გრძნობა თქვენთვის უცნობი არ უნდა იყოს. დღეს ბევრი მომენტი ვერ გამოვიყენეთ და როცა შანსებს ხელიდან უშვებ, შიშიც გაწუხებს — ეს ფსიქოლოგიური შიშია...

**— „ბაიერნთან" მატჩისთვის შემადგენლობა კაპელომ დააყენა, სპორტულმა დირექტორმა პრედრაგ მიატოვიჩმა თუ პრეზიდენტმა რამონ კალდერონმა?**

— პრეზიდენტთან არ მისაუბრია, მიატოვიჩი და ბალდინი კი შემადგენლობის დაყენების საქმეში ცხვირს არასდროს ჰყოფენ და რომც ეთქვა ვინმეს, ესა და ეს ფეხბურთელი ათამაშეო, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, იმ მოთამაშეს „ბერნაბეუს" სათოფეზეც აღარ გავაკარებდი...

# ოტმარ ჰიცფელდი: ხდება: გაიტან ბოლოს და უმალ ცოცხლდები

**— მატჩამდე თანახმა იყავით მინიმალური სხვაობით წაგებაზე?**

— არავითარ შემთხვევაში. რაც უნდა მოხდეს, თამაშამდე წაგებას არასდროს ვურიგდები.

**— ფეხბურთელების შეცდომებს როგორ ახსნით?**

— საკუთარი თავისადმი რწმენის უქონლობით. ზუსტად ასეთი რამ დაემართა „რეალს" მატჩის ბოლო ოც წუთში.

**— როცა უყურებდით, როგორ ითამაშა კლაუდიო პიზარომ, ხომ ვერ ინანეთ, რომ იგი ძირითადში არ დააყენეთ?**

— საქმე ის გახლავთ, რომ „რეალთან" მატჩამდე პიზაროს ბოლო ორ შეხვედრაში კარშიც არ დაურტყამს ბურთი. ამის გამო ის „რეალთან" ძირითადში ყოფნას არ იმსახურებდა, თუმცა ასე თუ გაავრძელა, ძირითადში მოხვედრაზე არანაირი პრობლემა არ შეექმნება.

**— საერთო ჯამში „რეალთან" მატჩზე რას იტყვით?**

— ჰარგრივსი და დემიკელისი თავიდან ძალიან უკან იყვნენ. მოგვიანებით ჰარგრივსი წინ წავწიე და თამაშიც გამოვასწორეთ. თუმც შემდეგ მცველებმა ვერ მოახერხეს რაულის დაჭერა და პირველი გოლიც გავუშვით. მერე ანგარიში გავათანაბრეთ, თითქოს კიდევ უნდა გაგვეტანა, მაგრამ მეტოქე დაწინაურდა — „რეალის" მეორე გოლისას კანავარომ და ელგერამ ლუსიოსთან თამაშის წესი დაარღვიეს. მესამე გოლიც მცველების შეცდომის გამო მივიღეთ.

**— მეორე ტაიმი განსხვავებული იყო. რამ შეცვალა „ბაიერნი"?**

— სალიჰამიჯიჩი შევიყვანე და უკვე სხვანაირი თამაში წავიდა. ბევრი მომენტი შევქმენით და გოლის გატანა დროის ამბავიღა იყო. ჰასანის შეყვანა აუცილებელი იყო, რადგან „ბაიერნი" ფლანგებზე მოისუსტებდა. ჩემპიონთა ლიგაში ასეთი რამ ხშირად ხდება — ბოლო წუთებზე გაიტან და „ცოცხალი" რჩები.

## ჩემპიონთა ლიგა 2006–2007
### მერვედფინალი. პირველი მატჩები

# ბოდიში, მაგრამ მე ეს მაიძულეს




AFP

მარკ ვან ბომელმა „სანტიაგო ბერნაბეუ“ 88-ე წუთზე ჩააჩუმა. ჰოლანდიელმა ნახევარმცველმა გოლი შეაგდო და საბაიერნო ანგარიში აანთო ტაბლოზე, თუმცა „რეალის“ გულშემატკივართათვის გოლის გაშვებაზე მეტად მწარე ვან ბომელის ჟესტი გამოდგა — ექსბარსელონელმა ტრიბუნებს რაც აჩვენა, ამ სურათზეც ხედავთ.

ჩანს, ვერა და ვერ დაივიწყა ვან ბომელმა, რომ ახლა იგი ბაიერნელია და არა ბარსელონელი. თამაშის მეორე დღეს კატალონიური გაზეთები უხეშად შეფარული სიხარულით აღნიშნავდნენ, „რეალს“ მეორე გოლი „ბაიერნმა“ კი არა, სულ სხვა გუნდმა გაუტანაო. „ბერნაბეუს“ ინჩადა კი ორმაგად განრისხდა — ჯერ ერთი, რომ მათმა საყვარელმა გუნდმა მეოთხედფინალში გასვლა სასწორზე შეაგდო და მეორეც (არანაკლებ მთავარი და მნიშვნელოვანი): სამეფო სარბიელს ხომ მათთვის ასე საძულველი „ბარსელონას“ აჩრდილი გადაეფარა...

ჰოლანდიელის უწესოდ აღმართულმა მარჯვენამ მადრიდული სტადიონი ათი წლის წინანდელ მოგონებებში გადააგდო. მაშინ, 1997 წლის 11 ნოემბერს „სანტიაგო ბერნაბეუზე“ პრიმერადივიზიონის მეცხრე ტურში ერთმანეთს მარადიული მტრები — „რეალი“ და „ბარსელონა“ — ერკინებოდნენ. სტუმართაგან რივალდომ და ლუის ენრიკემ გაიტანეს, მასპინძელთაგან კი რაულმა და დავორ შუკერმა.

79-ე წუთზე, როცა ანგარიში 2:2 გახლდათ, ბარსელონელთა ბრაზილიელმა ჯოვანიმ გამარჯვებისა შეაგდო და ამაყ მადრიდელ გულშემატკივრებს ის გაუკეთა, ბრაზილიაში „ბანანას“ რომ ეძახიან.

მაშ ასე: დღეს ჯოვანის „ღირსეული მემკვიდრე“ ოტმარ ჰიცფელდის შეგირდია.

თუმცა ვან ბომელმა თავისი საქციელი მატჩის დამთავრებისთანავე მოინანია: „ერთი რეალელი, რომლის ვინაობის გამხელა არ მინდა, მთელი თამაში დამდევდა და, შე ბარსელონელო ნაბიჭვაროო, მეძახდა. როცა გოლი შევაგდე, თავი ვერ შევიკავე და, სამწუხაროდ, ცუდად მოვიქეცი. ბოდიშს ვიხდი, ოღონდ მხოლოდ გულშემატკივართა წინაშე. იმ არაკაცთან კი არაფერი მაქვს საბოდიშო“.

ვან ბომელის მსგავს „ცელქებს“ ქართულ ფეხბურთთანაც ჰქონიათ შეხება: თბილისის „დინამოსთან“ შეხვედრისას 1977 წელს შვეიცარიული „გრასჰოპერსის“ რაიმონ პონტემ, ხოლო 1981 წლის თასების თასის ფინალში გერმანული „კარლ ცაისის“ ჰოპემ იუზრდელეს...

**ლადო ხომერიკი**

# არაფრით არაფერი და ჯერჯერობით არაფერი

„სელტიკმა“ და „მილანმა“ ერთმანეთს გოლი ვერ გაუტანეს.

პირველ ტაიმში საუკეთესო შესაძლებლობა სტუმართა თავდამსხმელს ალბერტო ჯილარდინოს ჰქონდა, მაგრამ მას გლაზგოელთა მეკარე არტურ ბორუცმა შეუშალა ხელი. ამ ეპიზოდამდე რამდენიმე წუთით ადრე კი მასპინძელმა იან ვენეგოორ ოფ ჰესელინკმა თანაგუნდელის, შუნსუკე ნაკამურას ჩაწოდებული ჯარიმა ვერ დაასრულა გოლით.

ვინც ამ მატჩის ანონსი წაიკითხა, ეხსომება, რომ მილანელთა თავკაცი კარლო ანჩელოტი მეტოქეთაგან ერთ-ერთ ყველაზე სახიფათოდ სწორედ იაპონელ ფეხბურთელს მიიჩნევდა და მართლაც, საჯარიმო დარტყმა, რომელიც ზემოთ აღვწერეთ, თამაშის დასაწყისში, მე-9 წუთზევე იყო. რატომ ვერ მიჰკრა ამ მომენტში ბურთს ფეხი ვენეგოორმა, ალბათ, მხოლოდ მისთვის არის ცნობილი, თუმცა, ზოგადად, ამ ჰოლანდიელ ფეხბურთელზე უნდა ითქვას, რომ მან „მილანის“ კაპიტან პოლო მალდინის რამდენიმე მომენტში სანერვიულო ნამდვილად გაუჩინა.

**სელტიკი (შოტლანდია) 0:0 მილანი (იტალია)**

**სელტიკი:** ბორუცი, ნეილორი, უილსონი, სნო, ოდია, მაკმანუსი, მაკრეიდი, ლენონი, ნაკამურა, ჯ. მილერი (იაროშიკი 63), ვენეგოორ ოფ ჰესელინკი

**მწვრთნელი:** გორდონ სტრაჩანი

**მილანი:** კალაჩი, მალდინი, კალაძე (ბონერა 63), ოდო, ამბროზინი, იანკულოვსკი, გატუზო, გურკუფი, პირლო, კაკა, ჯილარდინო

**მწვრთნელი:** კარლო ანჩელოტი

**გაფრთხილებები:** მალდინი, ნაკამურა, ჯილარდინო

**მსაჯი:** ტ. ჰაუგე (ნორვეგია)

58 785 მაყურებელი

ცნობისთვის: მალდინისთვის ეს გახლდათ ჩემპიონთა ლიგაში მე-100 შეხვედრა.

ორივე გუნდი შეტევას ცდილობდა და, შესაბამისად, მოვლენები საჯარიმოდან საჯარიმოსკენ ინაცვლებდა.

სტუმრების კართან კენი მილერმა ეიდენ მაკრეიდის პასი მიიღო და დაბალი დაარტყა, მაგრამ მეკარემ აუღო. მოედნის მეორე ბოლოში კლარენს ზეედორფის ადგილას მოთამაშე იოან გურკუფმა ანდრეა პირლოს ჩაკიდებულს ჰკრა თავი, მაგრამ მეკარეს დაუმიზნა...

საერთოდ, ნახევარდაცვაში მილანელები უკეთესად მოქმედებდნენ, მაგრამ ტაიმის მიწურულს მომენტი ისევ ნაკამურას ჰქონდა — კალაჩმა აუღო.

შესვენების შემდეგ „სელტიკი“ უფრო დამშვიდებული და აზრმოკრებილი ჩანდა. მეორე ტაიმი რომ დაიწყო, 20 მეტრიდან მაკრეიდმა დაარტყა სახიფათოდ და ისევ კალაჩმა ივარგა. 52-ე წუთზე კი პირლოს პასით ჯენარო გატუზოს უნდა ესარგებლა. შემდეგ გლაზგოელ ლი ნეილორს ოდნავ გაუცუდდა მიზანი.

თამაშის დამთავრებამდე ნახევარი საათი რომ დარჩა, მასპინძელთა მწვრთნელმა გორდონ სტრაჩანმა მილერი ირჟი იაროშიკით შეცვალა, მაგრამ ამან ბევრი არაფერი მისცა.

მატჩის ბოლოს ვენეგოორმა ნაკამურას კიდევ ერთი დაწყებული საქმე ვერ დაასრულა...

*გორდონ სტრაჩანი:* „ჩვენ მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს გუნდს ვეთამაშეთ და საპასუხო მატჩის წინ შანსები კიდევ არ დაგვიკარგავს, რაც ჩემი ბიჭებისთვის საუცხოოა. ახლა მთავარი საკუთარი თავის რწმენაა. მერედა, დღეს ჩვენი დაცვა სულ ყმაწვილკაცებით იყო დაკომპლექტებული. თან ეს მოთამაშეები ერთ ჯაჭვად პირველად იდგნენ. საპასუხო თამაშში ტექნიკურ მაჩვენებლსაც თუ გავაუმჯობესებთ, მომდევნო ეტაპზე გასვლის რეალური შანსი გვექნება“.

„მილანის“ თავკაცი *კარლო ანჩელოტი:* „მეორე თამაშის წინ მომდევნო ეტაპზე გასვლის კარგი შანსი გვაქვს. მართალია, „სელტიკს“ გოლის გატანა შეუძლია, მაგრამ დარწმუნებულნი ვართ, რომ „სან სიროზე“ ჩვენ გავიმარჯვებთ. აქ, გლაზგოში, ბევრი მომენტი შევქმენით, საკუთარი კარის მისადგომები კი კარგად დავიცავით“.

**ბაჩუნა ქედია**







AFP

## ჩემპიონთა ლიგა 2006-2007
### მერვედფინალი. პირველი მატჩები

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დალილავებულები ინგლისური და ფრანგული ტრადიციები

**ლილი (საფრანგეთი) 0:1 მანჩესტერი (ინგლისი)**
0:1 გიგზი (83)
ლილი: ტ. სილვა, დებუში, ტავლარიდისი, ბოდმერი, ფოვერი (კაბაიე 57), ოდემვინჯი (ოდელი 75), მაკუნი, ტაფორო, შალმე, პლესტანი, ობრანიაკი (ბასტოსი 90)
მწვრთნელი: კლოდ პუელი
მანჩესტერი: ვან დერ სარი, გ. ნევილი, ფერდინანდი, ევრა, ვიდიჩი, კ. რონალდუ (საა 67), სქოულზი, კარიკი, გიგზი, ლარსონი, რუნი
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
გაფრთხილება: ფოვერი, დებუში, სილვა, ევრა, ვიდიჩი
მსაჯი: ე. ბრაამჰაარი (ჰოლანდია)
35 200 მაყურებელი










## უეფა ლილს ტურნირიდან მოკვეთითაც კი ემუქრება

AFP

**ალექს ფერგიუსონმა** გააკრიტიკა ლანსის სტადიონზე დატრიალებული ამბების მონაწილენი.

„ლილი“ — „მანჩესტერი“, რომელიც ლანსის სტადიონზე ჩატარდა, დიდი გაჭირვებით დასრულდა.

83-ე წუთზე „ლილის“ ფეხბურთელებმა მინდორიც კი დატოვეს პროტესტის ნიშნად, რაიან გიგზმა საჯარიმო დარტყმა მაშინ გაგვიტანა, როცა ცოცხალი კედლის დაყენება დამთავრებული არ გვქონდაო.

მანამდე, თამაშის მე-15 წუთისთვის პოლიციას კარსუკანა ტრიბუნასთან ცრემლსადენი გაზის მოხმარება მოუხდა. ლანსის პოლიციამ ამ ტრიბუნაზე „მანჩესტერის“ ფანებიც შეუშვა მაშინ, როცა იქ უმეტესობა ლილელი იყო. ლილელთა ტალღა მეტოქე ფანებისას მიაწვა და ისინი რკინის ჯებირს მიაჭყლიტა. როცა ფანებმა ჯებირზე ამოძრომა დაიწყეს, პოლიციამ კი ცრემლსადენი გაზი იხმარა, ორი გულწასული, მათ შორის, ერთი დროული დეიდა, საავადმყოფოში გააქანეს.

ამ გაზის გამო „მანჩესტერის“ მეკარე ედვინ ვან დერ საარს მხედველობაც გაუორდა. მერე კი მსაჯმა ლილელ პეტერ ოდემვინჯის გოლი არ ჩაუთვალა, დარტყმამდე ნემანია ვიდიჩზე დაჯარიმდაო.

„საშინელი დღე იყო. ასეთი არასდროს მინიხავს. მათი ფეხბურთელები მსაჯს ყველაფერზე ეკამათებოდნენ და მაყურებლებში ძალადობის განწყობას აღვიძებდნენ — თქვა ფერგიმ — გარი ნევილს თავში რაღაც საგანი მოხვდა. სულ რაღაცებს გვესროდნენ. უეფამ უნდა მიხედოს ასეთ საქმეს“.

„მანჩესტერის“ მენეჯერი ნევილზეც განაწყენდა, მინდორს გარეთ „ლილის“ ფეხბურთელებს არ უნდა გაქაჩვოდაო...

„მსაჯმა ერიკ ბრაამჰაარმა გიგზის გოლი სწორად ჩათვალა. რაიანმა მას ჰკითხა, შეიძლება თუ არა, სწრაფად დავარტყაო და მანაც ნება დართო. ინგლისში ასეთი რამ ხშირად ხდება“ — ამბობს სერ ალექსი.

თავად გიგზმა კი თქვა: „მსაჯმა მითხრა, სასტვენს ითხოვ თუ სწრაფი დარტყმა გინდაო. ვუპასუხე, უსასტვენოდ მირჩევნია-თქო. ბურთი დავდე და დავარტყი“.

„ლილის“ მწვრთნელმა კლოდ პუელმა კი უარყო ის აზრი, თითქოს მისი გუნდი მოედნიდან თამაშის შეწყვეტის მიზნით გავიდა: „საფრანგეთში ეს ტრადიციულია. სადავო პაუზის შემდეგ გუნდები ამოისუნთქავენ ხოლმე, სელ ალექსს კი მსაჯებზე დაწოლა უყვარს“.

სავარაუდოდ, „ლილს“ მკაცრი სასჯელი და ეგებ ლიგიდან მოკვეთაც კი ელოდეს.

**ირაკლი გამყრელიძე**

# ლიგის სუნიანი ისტორია


რონალდ კუმანის ტაქტიკამ არსენ ვენგერს ნირი წაუხდინა

AFP



სუნ ჟიანი ისტორიაში შევიდა

**პსვ ეინდჰოვენი (ჰოლანდია) 1:0 არსენალი (ინგლისი)**
1:0 მენდესი (61)
### ბავშვური ოცნება და „ნაკლეიკები"

ცხრა წლის ვიყავი, კალათბურთზე რომ შევედი და უკვე მაშინ ვიცოდი, რა იყო ნბა. ზურაბ სამხარაძის გუნდში, ისევე როგორც ნებისმიერ სხვაში, ყველა ამერიკულ კალათბურთზე ლაპარაკობდა. ყველას სურდა იქ სათამაშოდ წასვლა, მაგრამ ეს მხოლოდ ბავშვური ოცნება გახლდათ. ვოცნებობდით და წარმოვიდგენდით ხოლმე, იმ ეპიზოდებს, როგორ ვტენიდით ბურთს, როგორ ვუფარებდით მაიკლ ჯორდანს...

უმეტესობას მხოლოდ პლაკატებზე და ჟურნალებში ჰყავდა ჯორდანი ნანახი, რადგან მაშინ ომი იყო საქართველოში და ტელევიზიით რომც გაეშვათ ფრაგმენტები, უშუქობის გამო მას ბევრი ვერ ნახავდა. მე იმ იღბლიანებში ვიყავი, რომლებსაც ჯორდანის ჩატენილი ბურთები ტელევიზორში ენახა და ამით ძალიან ვამაყობდი. ვარჯიშების დაწყებამდე და შემდეგაც გაუთავებლად ვუცვლიდით ერთმანეთს ჟურნალ-გაზეთებიდან ამოჭრილ სურათებს, რომლებზეც ნბა-ს მოთამაშეები იყვნენ გამოსახულნი. მახსოვს, ძალიან საამაყო იყო კევებში ამოსული ეგრეთ წოდებული „ნაკლეიკების" სრული კომპლექტის შეგროვება.

### სხვები ბჭობდნენ, სამხარაძეს სჯეროდა

როგორც ყოველთვის, ჩემს დროსაც გამოთქვამდნენ ხოლმე ვარაუდებს — ამ ბავშვისგან დიდი კალათბურთელი გამოვა, ამას მონაცემები აქვს, მაგრამ სიზარმაცე დაღუპავსო... ჩემზეც ლაპარაკობდნენ, მაგრამ ერთი, ჩამოყალიბებული აზრი არ არსებობდა, ზოგი კარგს ამბობდა, ზოგი — ცუდს, მაგრამ მე ყურს არავის ვუგდებდი — მხოლოდ მწვრთნელს ვუსმენდი და ზურაბ სამხარაძის ყველა დავალებას ვასრულებდი. რაც დრო გადიოდა, ნბა-ში წასვლა უფრო რთულად მეჩვენებოდა. სიმართლე რომ ვთქვა, ჩემი თავი ვერ წარმომედგინა შაკანიანი მოთამაშეების გვერდით, რომლებიც, ჩვენი ბავშვური წარმოდგენით, ჩიტებივით დაფრინავდნენ.

### თურქეთი: პირველი ნაბიჯი ოცნებისაკენ

გამორჩეული ნიჭი თუ არ აქვს, საქართველოს ჩემპიონატიდან ნბა-ში ალბათ ვერავინ წავა. ეს მეც კარგად ვიცოდი და თურქეთში გადასვლის ვარიანტი რომ გამომიჩნდა, რეალურად მაშინ დავიწყე ფიქრი ჩემი ოცნების განხორციელებაზე. ოღონდ გადაწყვეტილების მიღება იოლი არ ყოფილა. სკოლა არ დამემთავრებინა და თანაც დედისერთა ვიყავი. ამიტომაც გადაწყვეტილება მთელმა ოჯახმა ხანგრძლივი ჭოჭმანის შემდეგ მივიღეთ. ერთმა მომენტმაც ითამაშა მნიშვნელოვანი როლი: კადეტთა ნაკრებში ჩემი ადგილი არ მოინახა და საშინლად მეტკინა გული. თურქეთში წასვლა იმიტომაც მინდოდა, რომ დამემტკიცებინა — ნაკრებს ვიმსახურებდი...

თურქეთში გადასვლა დიდი ნაბიჯი იყო ჩემს კარიერაში. ეს იმას ნიშნავდა, რომ კალათბურთი პროფესიად ავირჩიე და უკან დახევა აღარ გამოვიდოდა. ჩემი „ულქერის" გარდა თურქეთში არაერთი მაღალი დონის გუნდი თამაშობდა, შესანიშნავი მწვრთნელი მყავდა და გარემოც ისეთი იყო, 15 წლის ახალგაზრდა უკეთესს ვერ ინატრებდა. იქ უფრო მეტს ვშრომობდი, ოსტატობა და გამოცდილება დღითიდღე მემატებოდა. მიუხედავად იმისა რომ სრულიად ახალგაზრდა ვიყავი, მაინც ძირითად გუნდში მათამაშებდნენ. მწვრთნელს მოედანზე ძალიან მცირე ხნით გავყავდი, მაგრამ ეს არ იყო მაშინ მთავარი.

### ყველაზე ჭკვიანური ნაბიჯი – უკან

18 წლის ვიყავი, როცა ნბა ერთი ხელის გაწვდენაზე დავინახე. სწორედ მაშინ მითხრა ჩემმა აგენტმა, დროა, დრაფტზე დასადგომად უკვე მზად ხარო. გადავწყვიტეთ, სადრაფტო განაცხადი შეგვეტანა და შევიტანეთ კიდეც, მაგრამ რამდენიმედღიანი ფიქრის შემდეგ უკან გამოვიტანეთ. მწვრთნელებმა და მენეჯერმა მირჩიეს, რას კარგავ, ჯერ მხოლოდ 18-ის ხარ, გიჯობს, კიდევ ერთი წელი ევროპაში დარჩე და დრაფტზე უფრო მომზადებული წახვიდეო. ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე ჭკვიანური გადაწყვეტილება, რომელმაც მნიშვნელოვნად განაპირობა ნბა-ში ჩემი წარმატება.

### დრაფტი: ის საღამო ბედისწერა იყო

დრაფტის საღამოს ძალიან ვნერვიულობდი. ბევრი ძლიერი და ნიჭიერი ბიჭი იყო ასარჩევი და ნამდვილად არ ვიცოდი, რომელ ნომრად ამიყვანდნენ. მიუხედავად ამისა, საშინლად უკმაყოფილო დავრჩი, რადგან მეორე რაუნდში, თანაც 42-ე ნომრად არჩევას ნამდვილად არ ვიმსახურებდი. ყველაფერი აგენტს დავაბრალე, რომელმაც ჩემი თავი გუნდებს სათანადოდ ვერ გააცნო. ის საღამო ალბათ ბედისწერა იყო, რადგან დიდი იმედგაცრუება უდიდეს მოტივაციად მექცა. წყენა იმ საღამოს დავუტოვე და მეორე დღიდანვე შევუდექი ჩემი სიმართლის დამტკიცებას რომ არასწორად მომექცნენ და პირველ ათეულში, მინიმუმ პირველ წრეში ასარჩევი მოთამაშე მეორე წრის შუაში ამიყვანეს. მაშინ ყველა გვერდში მედგა — დედაჩემი, აგენტი, პირადი მწვრთნელი და მეგობრები. ისინი მამხნევებდნენ, მაიმედებდნენ, მაგრამ არაფერს მოუცია ჩემთვის იმხელა ბიძგი და მოტივაცია, როგორიც დრაფტზე იმედგაცრუებამ მომცა.

### საზაფხულო შანსი: არც ერთი სიტყვა ფულზე

ჩემს თავს ვუთხარი, ჯერ 19 წლის ხარ, ყველაფერი წინ გაქვს და დრაფტზე წარუმატებლობით ცხოვრება არ დამთავრებულა-მეთქი. ძალიან იშვიათად კი მომხდარა, რომ დრაფტის მეორე რაუნდში არჩეულ მოთამაშეს ნბა-ში თავი დაემკვიდრებინოს, მაგრამ რაკი ამის შანსი მქონდა, უნდა გამომეყენებინა. შანსი საზაფხულო ლიგაზე მომეცა, სადაც „ორლანდოს" ახალბედებს შორის ხუთეულში მოვიპოვე ადგილი და კონტრაქტიც დავიმსახურე...

ნბა-ს გუნდში ჩემი ნომერი, მაისურა და გასახდელში ადგილი კი მოვიპოვე, მაგრამ წინ იყო მთავარი გამოცდა, რომლისთვისაც ყოველდღიურად უნდა მეჯაფა. მთავარი ის იყო, რომ არ მეშინოდა ამ გაუთავებელი ვარჯიშების, ფიზიკური დატვირთვების და არ მეზარებოდა ყოველდღე ბურთის კალათში ათასჯერ სროლა. ამ ერთი შეხედვით ჯოჯოხეთური შრომისგან სიამოვნებას ვიღებდი. ვხვდებოდი, რომ თავს თუ არ დავზოგავდი, საწადელს მივაღწევდი და არასდროს დამზარებია ვარჯიშზე წასვლა, ათობით კილომეტრზე რბენა და ვინ მოთვლის, კიდევ რამდენი რამ. ფულზე წამითაც არ მიფიქრია, რადგან ახალგაზრდა ვიყავი და თუ კარგი კონტრაქტი მინდოდა, ჯერ ჩემს თავზე უნდა მემუშავა.

### მე-12 მატჩი: კარი გაიღო

რეგულარული სეზონი რომ იწყებოდა, „ორლანდოს" მწვრთნელმა დოკ რივერსმა მითხრა, არ ვიცი, როდის დამჭირდები, მაგრამ შენ ყოველთვის მზად იყავიო. როცა ათია მატჩმა ისე ჩაიარა, რომ სათადარიგო სკამიდან არ ავმდგარვარ, ავღელდი. სეზონში 82 მატჩია, მწვრთნელმა კი არ იცის, როდის დავჭირდები-მეთქი, ვიფიქრე. საბედნიეროდ, მოედანზე მალევე გავედი — სეზონის მე-12 მატჩი „ჩიკაგოსთან" გვქონდა, როცა დოკ რივერსმა მოედანზე შემიყვანა და მეც მშვენიერი დებიუტი მოვიწყვე — 9 ქულა და 7 მოხსნა. ამან განსაკუთრებით გამახარა, რადგან შრომის ნაყოფი დავინახე და ვარჯიში გაორმაგებული მონდომებით გავაგრძელე. საბოლოოდ დავრწმუნდი იმაში, რომ შრომა არ იკარგება. რაც უნდა მოხდეს, შენი გასაკეთებელი უნდა აკეთო და ეს აუცილებლად დაგიფასდება.

### შაკი: არავითარი შოკი

მალევე ვეთამაშეთ „ლეიკერსს" და შანსი მომეცა, შაკილ ონილს შევხვედროდი. როცა მწვრთნელმა მოედანზე გამიშვა, ჩემს თავს ვუთხარი, დასაკარგი არაფერი მაქვს, თუკი მსოფლიოს საუკეთესო ცენტრი მაჯობებს, ამით არაფერი დამიშავდება და ონილთან თამაშიც ყოველგვარი შიშის გარეშე დავიწყე. ვცდილობდი, ისეთი რამ გამეკეთებინა, რაც ხალხს გააოცებდა. მაყურებლისთვის შაკილ ონილის 30 ქულაზე გასაკვირი მის წინააღმდეგ ჩემი თამაში იქნებოდა, რადგან არავინ მიცნობდა, ევროპიდან ნბა-ში იმ წელს მისული თინეიჯერი ვიყავი. იმ თამაშში 6 ქულა და 6 მოხსნა გავაკეთე. შაკილს ერთხელ დავაფარე და ორჯერ ბურთიც წავართვი. ჩემთვის ეს დიდი წარმატება იყო და მოედნიდან ამაყი გამოვედი. ძალიან მეხმარებოდა ქართული, მებრძოლი ხასიათი, რასაც ამერიკელები დღესაც ძალიან აფასებენ.

### „ატლანტა": ახდენილი და ასახდენი ოცნება

პირველი სეზონის შემდეგ სტატისტიკური მონაცემები გავაორმაგე — აშკარა პროგრესმა „მილუოკიში" განაპირობა ის, რომ „ატლანტამ" ყურადღება მომაქცია და ჩემი განვითარების კალათბურთელისთვის საკმაოდ სარფიანი კონტრაქტი გამიფორმა. ჯორჯიულ გუნდში პირველად გავხდი ხუთეულის მოთამაშე და გუნდის ერთ-ერთ ლიდერად ვიქეცი. მიუხედავად ამისა, მიღწეულზე არ ვჩერდები. საერთოდაც, არასოდეს ვარ ჩემი თავით კმაყოფილი და ვთვლი, რომ მეტიც შემიძლია. ოლ სტარში მოხვედრა ძალიან ძნელია, მაგრამ აქამდე მოსვლაც ძალიან ძნელი იყო და მე ეს შევძელი...

# სანიკიძემ ლიეჟში მოსკოვი გაინაღდა



**ევროთასზე** ჯგუფური ეტაპი დასრულდა — ამიერიდან ტურნირი ერთ საპლეიოფო წრეს მოიცავს და ყველაფერი ოთხთა ფინალით დაგვირგვინდება. ევროთასში მონაწილე ორი „ქართული“ გუნდიდან გათამაშებას ერთი შემორჩა. ჯგუფური ეტაპის ბოლო ტურში ვიქტორრ სანიკიძის „ესტუდიანტესმა“ ბელგიაში „ლიეჟი“ დაამარცხა და მერვედფინალში გავიდა.

ფრანგულმა „დიჟონმა“ კი ტრავმირებული ვახტანგ ნაცვლიშვილის გარეშე ჩაამთავრა ევროთასზე თამაში. ეს გუნდი ორი ტურის წინ გაიწირა ჯგუფში ჩასარჩენად და დარჩენილ მატჩებში საკუთარი პრესტიჟის გასამყარებლად იღვწოდა. დიჟონელებმა შინ ტალინის „კალევი“ 68:64 დაამარცხეს და მესამე ადგილს დასჯერდნენ.

„ესტუდიანტესს“ ბელგიაში გვარიანი ჯაფა დაადგა „ლიეჟის“ დაამარცხებლად. ბოლო მეოთხედამდე მასპინძლები ლიდერობდნენ და ცოტაც და, იქნება ემარჯვათ კიდეც, მაგრამ ესპანურმა კლუბმა ძალიან მოიწადინა და ამაში ქართველის ხელიც ურევია.

ვიქტორ სანიკიძემ ხუთეულში დაიწყო თამაში და მოედანზე მთლიანობაში 16 წუთი დაყო. მან თავი გამოიჩინა ფარქვეშა ბრძოლებში და 7-ჯენ მოხსნა ბურთი. ამას 5 ქულაც მოაყოლა და მოედნიდან ვალმოხდილი გამოვიდა.

„ესტუდიანტესს“ ორ კვირაში საპლეიოფო ჯახი ელის მოსკოვის ოლქის „დინამოსთან“. პირველი მატჩი რუსეთში გაიმართება, საპასუხო — მადრიდში და გამარჯვებული ოთხთა ფინალის საგზურს დაეპატრონება.

**ირაკლი პერტაია**

## პიპენი ბრუნდება

„ჩიკაგო ბულზის“ ოქროს ხანის წარმომადგენლის, მაიკლ ჯორდანის მარჯვენა ხელ სკოტი პიპენს მოედანზე დაბრუნება სურს. 41 წლის ფორვარდმა 2004-ში დაასრულა კარიერა, მაგრამ გული მაინც მოედნისკენ მიუწევს და დიდი შანსია, თამაში განაახლოს. პიპენს უკვე გამოუჩნდა მსურველი — „ლოს ანჯელეს ლეიკერსი“, რომელსაც ახლახან ძირითადი ფორვარდი ვლადიმირ რადმანოვიჩი დაუშავდა. დაინტერესება იქიდანაც მოდის, რომ კალიფორნიულ კლუბს ფილ ჯექსონი წვრთნის, რომელიც პიპენის დროინდელი „ჩიკაგოს“ დამრიგებელი იყო.

## კიდევ ერთი სეზონი

ნბა-ს ყველაზე მხცოვანი მოთამაშე 40 წლის დიკემბე მუტომბო კარიერის დასრულებას არ აპირებს. ამას წინათ მან თქვა, რომ თამაშს ამ სეზონის ბოლოს დაანებებდა თავს, მაგრამ „ჰიუსტონის“ ცენტრალურმა თავდამსხმელმა გადაწყვეტილება შეცვალა.

„კიდევ ერთი სეზონი ვითამაშებ და კარიერას მერეღა დავასრულებ. იმედი მაქვს, ნბა-ში ჩემს ბოლო წელს „ჰიუსტონის“ შემადგენლობაში გავატარებ. მე მოვეთათბირე ახლობლებს და ერთად გადავწყვიტეთ, რომ ჯერ არ უნდა დავანებო თამაშს თავი“ — აცხადებს მუტომბო.

დიკემბემ 16 სეზონი გაატარა ნბა-ს 6 გუნდში — „დენვერში“, „ატლანტაში“, „ნიუ ჯერსიში“, „ფილადელფიაში“, „ნიუ იორკსა“ და „ჰიუსტონში“ და საშუალოდ 10,3 ქულასა და 10,5 მოხსნას აგროვებდა.

## იაოს ორი კვირაც

„ჰიუსტონ როკისტის“ ბუმბერაზმა ცენტრმა იაო მინმა განაცხადა, რომ მოედანს დაახლოებით ორ კვირაში დაუბრუნდება. ჩინელ გოლიათს ორ თვეზე მეტია, ფეხის ტრავმა აწუხებს და თავისიანებს ვერ ეხმარება. ჰიუსტონელებს პლეი ოფი თითქმის განაღდებული აქვთ და მინის დატვირთვას არ ჩქარობენ. კლუბში განაცხადეს, რომ ჩინელი მოედანს, სავარაუდოდ მარტის შუა რიცხვებში დაუბრუნდება.

## შჩერბიაკი ისევ დაშავდა



„ბოსტონ სელტიკსის“ ფორვარდი ვალი შჩერბიაკი „საკრამენტოსთან“ მატჩში დაშავდა და მოედანს გაურკვეველი ვადით გამოაკლდა. მან მარცხენა ფეხის აქილევსის ქუსლი დაიზიანა. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე სეზონში ნაირგვარი ტრავმების გამო შჩერბიაკმა 18 მატჩი გამოტოვა. ის ბოსტონელთა ერთ-ერთი ლიდერია და საშუალოდ მატჩში 15,5 ქულასა და 3,2 მოხსნას იხვეჭდა.

# NBA რეგულარული ჩემპიონატი

20 თებერვალი

**ჩიკაგო 106:81 ატლანტა**

**ჩიკაგო:** ჰაინრიხი (16), გორდონი (6), დენგი (16), ბრაუნი (11), ვოლესი (4 ქულა, 14 მოხსნა); დუჰონი (17), ალენი (12), გრიფინი (10), ტომასი (6), ხრიაპა (6), სეფოლოშა (2)

**ატლანტა:** აივი, ჯონსი (9), მ. უილიამსი (12), სმიტი (11), რიტი (4); ჩილდრესი (16), სტუდემაიერი (10), **ფაჩულია** (25 წუთი, 9 ქულა, 7 მოხსნა, 1 ჩაჭრა, 1 დაფარება), შ. უილიამსი (5), მედვედენკო (5), კლაქსტონი, ჯონსი

**კლიპერსი 90:115 ფინიქსი**

**კლიპერსი:** მაგეტი (19), ბრენდი (17), იუინგი (16)

**ფინიქსი:** მერიონი (31), სტუდემაიერი (22), ბარბოსა (16), ნეში (13 ქულა, 12 პასი)

**ვაშინგტონი 112:100 მინესოტა**

**ვაშინგტონი:** არენასი (38), სტივენსონი (23), ბატლერი (15)

**მინესოტა:** გარნეტი (26 ქულა, 13 მოხსნა), დევისი (24), ჯეიმსი (20)

**შარლოტი 104:100 ნიუ ორლეანი**

**შარლოტი:** ფელტონი (21 ქულა, 11 პასი), ვოლესი (21), მორისონი (18), ოკაფორი (16 ქულა, 15 მოხსნა)

**ნიუ ორლეანი:** პოლი (20), მეისონი (17), ჩანდლერი (16 ქულა, 20 მოხსნა)

**ნიუ იორკი 100:94 ორლანდო**

**ნიუ იორკი:** კარი (20), კროუფორდი (20), რიჩარდსონი (15), ლი (14 ქულა, 16 მოხსნა)

**ორლანდო:** ჰოვარდი (27 ქულა, 14 მოხსნა), ნელსონი (16), თურქოღლუ (14)

**სან ანტონიო 95:80 დენვერი**

**სან ანტონიო:** პარკერი (17), ჯინობილი (14), დანკანი (12)

**დენვერი:** ენტონი (15), ილარიო (13)

**პორტლენდი 103:100 იუტა**

**პორტლენდი:** როი (27), რენდოლფი (22 ქულა, 12 მოხსნა), უდოკა (15)

**იუტა:** ოქური (25), ფიშერი (20 ქულა, 10 პასი), მილსაპი (18)

**საკრამენტო 104:101 ბოსტონი**

**საკრამენტო:** მარტინი (22), არტესტი (18)

**ბოსტონი:** პირსი (26), ვესტი (23), ჯეფერსონი (15 ქულა, 15 მოხსნა)

**სიეტლი 121:105 მემფისი**

**სიეტლი:** ლუისი (34), ალენი (27), რიდნორი (15 ქულა, 12 პასი), უილკოქსი (13 ქულა, 15 მოხსნა)

**მემფისი:** მილერი (20), გაი (19), გასოლი (17 ქულა, 12 მოხსნა)

**მილუოკი 83:84 დეტროიტი**

**მილუოკი:** ბელი (22), პატერსონი (18), რედი (17), ბოგუტი (15)

**დეტროიტი:** ბილაფსი (19), ვოლესი (16 ქულა, 11 მოხსნა), მაკდაიესი (15)

## სტივ, გამოდი, გამოდი



სტივენ ნეში

**ბრძელი,** ბნელი ღამე დასრულდა და ფინიქსელი „მზეებისთვისაც“ გამოანათა მზემ. სტივ ნეში ამ გუნდისთვის მზეც არის და მთვარეც, მის გარეშე „ფინიქსმა“ ზედიზედ სამი თამაში წააგო და ვინ იცის, კიდევ რამდენს წააგებდა, ეს ჯადოკაცი რომ არ გამოჯანმრთელებოდა.

„კლიპერსთან“ შეხვედრაში ნეშმა თუმცაღა მხოლოდ 27 წუთი ითამაშა, მაგრამ მაინც მიანგ-მოანგრია მეტოქის დაცვა და მათი შეტევების ორგანიზატორ სემ კასელსაც ჩაუქრო თვალებში ცეცხლი. შედეგად „ფინიქსმა“ სტუმრად 25 ქულით იმარჯვა და მრისხანე გუნდის სტატუსიც უცებ აღიდგინა.

ნეშმა პირველი წუთებიდანვე სერიოზულად მოჰკიდა საქმეს ხელი და საწყის მეოთხედში 8 ქულა და 7 პასი გააზერხა. „ფინიქსიც“ ამ პერიოდში 38:26 დაწინაურდა, 12-ქულიან სხვაობას მეორეში 5 მიამატა, მესამეში კი — 7 და მორიგი გამარჯვებაც ჩაიწერა.

ასევე ზუსტად 25 ქულით მოიგო გუნდმა, რომელიც ადრე „ფინიქსსაც“ უგებდა, ყველა სხვასაც და საჩემპიონო ტიტულს ტიტულზე იხვეჭდა, ახლა კი იმ ძველი დიდების დასაბრუნებლად რას აღარ აკეთებს, მაგრამ ჯერ მხოლოდ საშუალოებში თუ ტრიალებს. ნბა-ს 6-გზის ჩემპიონმა „ჩიკაგომ“ შინ ჩვენებური ზაზა ფაჩულიას „ატლანტა“ მოიხელთა და მწარედ დაანარცხა. ატლანტელთა მხრიდან თამაში არავის გამოუვიდა, მთლიანად გუნდმა ჩააფლავა ეს შეხვედრა. სტუმრები პირველ ტაიმში ასე თუ ისე ახერხებდნენ ჩიკაგოელი „ხარების“ შეკავებას, დიდ შესვენებაზეც მხოლოდ 5-ქულიანი ჩამორჩენით გავიდნენ, მაგრამ მერე თითქოს დამბლა დაეცათო, ერთბაშად გახევდნენ და მეოთხედში 8:28 განადგურდნენ. ამ 12-წუთეულში „ატლანტამ“ თამაშიდან ერთი ბურთიც კი ვერ ჩააგდო და სეზონის საყოველთაო ანტირეკორდის ავტორიც გახდა. ეს „ატლანტას“ ყველაზე ცუდი პერიოდი იყო მთელ რეგულარულ ჩემპიონატში.

მერეც, ბოლო მეოთხედშიც სტუმრებმა პირველი ორი შეტევა გააფუჭეს და მერეღა მოახერხეს ჩაგდება — მათმა სათადარიგო სალიმ სტუდემაიერმა, როგორ იქნა, ორიანი მოინადირა. ამ ტყორცნას უდაბნოში ნანატრი წვიმის ეფექტი კი ჰქონდა, მაგრამ „ატლანტა“ წყურვილით დახრჩობას მაინც ვერ გადაურჩა.

**კოტე ყორშია**

# ხელი ღრმად ჩაიყავით!
## ჯორდანმა ენა ამოიდგა

**მაიკლ ჯორდანი** ყოველთვის გაურბოდა ჟურნალისტებს და დიდად არ უყვარდა ინტერვიუების მიცემა და კამერების წინ განცხადებების კეთება. მით უფრო, ამ ბოლო ხანებში გახდა კარჩაკეტილი. მას შემდეგ, რაც ლეგენდარულმა კალათბურთელმა ივლისში „შარლოტ ბობქეთსის“ აქციათა ნაწილი იყიდა და კლუბის თანამფლობელი გახდა, საერთოდ, არსად გამოჩენილა. ახლა კი ყველა დროის ალბათ უდიდესმა მოთამაშემ ენა ამოიდგა:

„ვინც ოდნავ მაინც მიცნობს, იცის, როგორ მძულს წაგება. ასე გაგრძელება აღარ შეიძლება, ჩვენი გუნდი ძალიან ბევრს აგებს. მე კლუბის ყველა თანამფლობელს ველაპარაკე და ყველა მეთანხმება, რომ რაღაცის შეცვლა აუცილებელია, მაგრამ, როგორც ვატყობ, არავის უნდა ინიციატივის გამოჩენა. აუცილებელია, დრაფტზე უფრო გონივრული სელექცია და თავისუფალ აგენტთა ბაზარზე აქტიურობა. თუ გუნდის წინ წაწევა გვინდა, რაღაც უნდა ვიღონოთ.“

მის საკალათბურთო უდიდებულესობას დიდად არ მოსწონს, რომ „შარლოტმა“ აქამდე ჩატარებული 53 თამაშიდან მხოლოდ 20 მოიგო და 33 წააგო. ამ შედეგით აღმოსავლეთში მხოლოდ 3 გუნდს უსწრებს. მაგრამ, მეორე მხრივ, ისიც სათქმელია, რომ „შარლოტის“ შეფები ყველაზე ცოტა ფულს ხარჯავენ



მოთამაშეთა ხელფასებზე და პრაქტიკულად, უვარსკვლავოდ ცდილობენ გრანდებთან ჭიდილს.

ჯორდანს არ უთქვამს, კონკრეტულად რა გეგმა აქვს და როგორ აპირებს გუნდის წინ წაწევას, მაგრამ შორიდან ასე ჩანს, თითქოს ის სხვა თანამფლობელებს მოუწოდებს, რომ ჯიბეში ხელი უფრო ღრმად ჩაიყონ და ხეირიანი გუნდის შესაქმნელად მაგიდაზე მეტი ოდენობით ამოალაგონ მილიონები.

ჭიდაობა



# თურმანიძემ და დარჩიამ კანდიდატები დაარჩიეს

**ორკვირიანი** ბაკურიანული შეკრებიდან დაბრუნებული მოჭიდავეები საერთაშორისო ტურნირებისთვის ემზადებიან. ნაკრების მწვრთნელები ზაზა თურმანიძე და ბეგი დარჩია აპრილში ევროპის ჩემპიონატზე წასაყვანი შვიდეულების გამოვლენას წვრილ-წვრილი უცხოური ტურნირების შედეგებით გეგმავენ და ევროპამდელ გასვლებზე გამოსაცდელ კანდიდატთა სიებიც აქედანვე შეუდგენიათ.

თავისუფალი სტილის მიმდევრებიც და კლასიკოსებიც უახლოეს ტურნირებს ამ შაბათ-კვირას იჭიდავებენ. თავისუფლები უკვე უკრაინაში არიან, სადაც ათკაციანი შემადგენლობით გუშინ გაემგზავრნენ. კიევის ხალიჩაზე შვიდი სპორტსმენი გავა და მათ მწვრთნელობას დავით ხურცია გასწევს.

აქვე უკრაინული შვიდეულიც: *ბესიკ გოჩაშვილი, კობა კაკალაძე, გელა სალირაშვილი, ნიკოლოზ გავნიძე, ბელდუხ გაჯამელიშვილი, ლევან სეთურიძე, დავით მოძმანაშვილი.*

ხურცია სანაკრებო კანდიდატებს კიევური ტურნირიდან ერთი კვირის თავზე, ანკარაშიც გამოცდის. ოღონდ თურქულ სიაში სულ ახალი ხალხი იქნება: *მალხაზ ზარქუა, ლევან ჩაბრაძე, ზურაბ მახარაშვილი, ნიკოლოზ ტლაშაძე, გიორგი მარსაგიშვილი, თამაზ გელაძე, დავით ოთიაშვილი და გიორგი ნიკურაძე.*

4-5 მარტს კიდევ განსხვავებული რვაკაციანი თავისუფალი შემადგენლობა ტაშკენტის ტურნირზე გამოვა. მათ ნაკრების მთავარი მწვრთნელი ზაზა თურმანიძე უთავკაცებს. ერთი შეხედვით ისე ჩანს, ევროშემადგენლობის საკითხი ტაშკენტში გადაწყდება. განსაკუთრებით საინტერესო ბოლო სამი წონის შედეგი იქნება. თურმანიძე იქ ორ-ორი მთავარი კანდიდატის გამოცდას აპირებს. სრული შემადგენლობა კი ასეთია: *გიორგი ბალიაშვილი (60 კგ), ოთარ თუშიშვილი (66 კგ), რევაზ მინდორაშვილი, ლერი ქეთიშვილი (ორივე 84 კგ), გიორგი გოგშელიძე, ლუკა კურტანიძე (ორივე 96 კგ), ალექსი მოდებაძე და დავით მოძმანაშვილი (ორივე 120 კგ).*

თავისუფლები თუ საერთაშორისო ტურნირებს ახლა იწყებენ, ბერძენ-რომაელებმა ჯერ კიდევ ბაკურიანის შეკრებამდე მოასწრეს საფრანგეთის მოვლა, თან გუნდური პირველი ადგილით. ახლა კი ანთალიაში გასამართ მსოფლიოს თასზე მოსინჯავენ ძალებს.

ბეგი დარჩიას სანაკრებო ბირთვი თითქმის გამოკვეთილია და შესაბამისად, კანდიდატთა სიაც თავისუფლებზე მოკლეა. მსოფლიოს თასზეც ძირითადად პარიზმოვლილები იჭიდავებენ. *ირაკლი ჭოჭუა (55 კგ), დავით ბედინაძე (60 კგ), მუხრან მაჭუტაძე (66 კგ), მანუჩარ კვირკველია, გენადი გოგიშვილი (ორივე 74 კგ), ბადრი ხასაია (84 კგ), რამაზ ნოზაძე (96 კგ) და რევაზ ჭელიძე (120 კგ)* ანთალიაში ხვალ გაემგზავრებიან. დარჩიასთან ერთად თურქეთში გუნდს ოთარ ტატიშვილიც გაწვრთნის. ედიშერ მაჩაიძე ტურნირზე მსაჯადაა მიწვეული, თემურ ყაზარაშვილი კი დელეგაციას უხელმძღვანელებს.

**ოთარ მაღლაკელიძე**



წყალბურთი

# ქართველებმა ხარკოვი და ლვოვი გაიარეს

**მარიუპოლში** მიმდინარე უკრაინის წყალბურთელთა ღია ჩემპიონატის მეორე ტურის პირველ მატჩში საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრებმა ხარკოვის „დინამოს“ მინიმალური ანგარიშით 12:11 მოუგეს. ოღონდაც ეს ანგარიში ბრძოლის დაძაბულობაზე სულაც არ მეტყველებს. ქართველი წყალბურთელები ამ შეხვედრას იოლად იგებდნენ და ერთ მომენტში ისინი 8:3 დაწინაურდნენ კიდეც. მერე კი, ეტყობა, საქმე მოთავებულად ჩათვალეს, მოეშვნენ და საბოლოოდ ერთი ბურთის სხვაობით გაიმარჯვეს.

საინტერესოა, რომ საქართველოს წყალბურთელთაგან თავი ყველაზე მეტად ლეგიონერებმა გამოიჩინეს: ილია ბუტიკაშვილმა და ზურაბ რურუამ, შესაბამისად ხუთჯერ და ოთხჯერ დალაშქრეს მეტოქის კარი. კიდევ ერთი ლეგიონერის, მიხეილ ბალათურიას ანგარიშზე კი ორი გოლია.

გუშინ მეორე ტურის მატჩში ქართველმა წყალბურთელებმა მეორე გამარჯვება მოიპოვეს — ლვოვის „დინამოს“ 9:8 მოუგეს.

**ავთანდილ ჭყვიშელი**

ოლიმპიზმი

# ჩვენ ვარსებობთ

**ესპანეთის** 13-ათასიანი სოფელი ხაკა, რომელიც ბორჯომივით 2014 წლის თეთრი ოლიმპიადის სამასპინძლოდ კანდიდატობას ამაოდ ლამობდა, საბოლოოდ მთლად ხელმოცარული მაინც არ დარჩა, რადგან ევროპის ახალგაზრდობის VII ზამთრის ოლიმპიურ ფესტივალს მასპინძლობს. ფესტივალი საზეიმოდ კვირას გაიხსნა, ორშაბათს შეჯიბრებებიც დაიწყო, საქართველოს წარმომადგენლები კი ბრძოლაში სამშაბათს ჩაებნენ. თუმცა „ბრძოლები“ მეტად გადაჭარბებული ნათქვამია, რადგან ბაკურიანელმა სამთომოთხილამურე კოტე ვახტანგიშვილმა გიგანტურ სლალომში მხოლოდ 28-ე ადგილი დაიკავა, მისი თანაგუნდელი ირაკლი ჩხეიძე კი დავარდა და დისტანცია ვეღარ დაასრულა.

ისე, კაცმა რომ თქვას, ხაკაში ჩვენი ახალგაზრდა სპორტსმენებისგან ვარსკვლავების მოწყვეტას არც არავინ ელის, რადგან მათი რეალური ძალა მეტოქეებისას ძალზე ჩამორჩება. ამ ფესტივალში მათი მონაწილეობა კი, უბრალოდ, სხვებს შეახსენებს, რომ საქართველო სპორტული ევროპის წევრია.

**ავთანდილ ჭყვიშელი**

მძლეოსნობა

# ბეკელე კომენს ვერ მოერია, კომენი ელ გუერუჯის



კრისტიან ოლსონი

**თანამედროვეობის** საუკეთესო მორბენალ კენენისა ბეკელეს რეკრდების ჭია ღრღნის. ამ ეთიოპიელისთვის მნიშვნელობა. არ აქვს, ზაფხულია თუ ზამთარი, ღია სტადიონია თუ ჭერქვეშა არენა — დარბის და ამყარებს რეკორდებს სულ სხვადასხვა დისტანციაზე.

ორიოდე დღის წინათ იყო, ბირმინგემის ჭერქვეშ თავისი სახელოვანი თანამემამულის ჰაილე გებრესილასიეს რეკორდი რომ დაამხო 2000 მეტრიან დისტანციაზე და გუშინწინ კი, უკვე სტოკჰოლმში, 3 კილომეტრზე სირბილში მოინდომა კენიელი დანიელ კომენის ცხრა წლის წინანდელი მიღწევის დამხობა.

კომენმა 1998 წელს ჭერქვეშა 3000 მეტრი 7 წუთსა და 24,9 წამში გაირბინა და ფეხის გულებაქავებულმა ბეკელემ სწორედ ამ რეკორდს შეუტია შვედეთის დედაქალაქში.

ამ ჯერზე არ გამოვიდა — ეთიოპიელმა პირადი რეკორდი კი დაამყარა, მაგრამ კომენის შედეგს გვარიანად ჩამორჩა — შვიდწუთნახევარიანი ჩარჩოდანაც კი ვერ გამოვიდა, კენიელის მიღწევას თითქმის ექვსი წამით ჩამორჩა და რეკორდზე ფიქრი სამომავლოდ გადადო. არადა, დისტანციის ორი მესამედის შემდეგ კენენისა სარეკორდო გრაფიკს ინარჩუნებდა, მაგრამ ბოლო კილომეტრზე ტემპს ვეღარ გაუძლო და 7 წუთითა და 30,51 წამით დაკმაყოფილდა.

სტოკჰოლმში თავგამოჩენილი სხვა მძლეოსნებიდან მასპინძელი მხტომელები არიან გამოსაყოფნი. შარშანდელ ევროპირველობაზე მარცხნაჭამი კაისა ბერგკვისტი წელს პირველად გამოჩნდა სახტომ სექტორში და 198 სანტიმეტრ სიმაღლეს გადაევლო. 233 სმ დაძლია კაცთა სიმაღლეზე ხტომაში გამარჯვებულმა სტეფან ჰოლმმა და მერე 241 სანტიმეტრსაც შეუტია, მაგრამ ამაოდ.

სახელოვანმა და ყველაფრის მომგებმა კრისტიან ოლსონმა კი სამი ნახტომით ჯერ 17,23 მეტრზე ისკუპა, მერე ამ შედეგს სამი სანტიმეტრიც დაუმატა და ახლოს არავინ გაიკარა.

ბეკელესი არ იყოს, ამაოდ შეუტია მსოფლიოს რეკორდს 1500 მეტრზე მორბენალმა კენიელმა კიპჩირჩირ კომენმა. ლეგენდარული მაროკოელის ჰიშამ ელ გუერუჯის ჭერქვეშა მიღწევა — 3 წუთი და 31,18 წამი, უკვე 10 წელია შეურყევლად დგას და ამ შედეგს ძვრა ვერც ამ კომენმა უყო, რომელმაც ფინიშს 3 წთსა და 33,79 წამის შემდეგ უწია.

ველორბოლა

# სპრინტის ბოსი თეო ბოსი



**სატრეკო** ველოსპრინტის ჰოლანდიელმა მეფემ, თეო ბოსმა ამსტერდამში გამართულ ქვეყნის ჩემპიონატზე ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა — სპრინტის ბოლო 200 მეტრი 10,360 წამში გაიქროლა. ოღონდაც, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ამსტერდამის ახლახან მოდერნიზებული „ვიელერბან სლოტენის“ ტრეკის სიგრძე კლასიკური 333 მეტრი კი არა, გაცილებით ნაკლებია და ეს რეკორდიც 200 მეტრზე ნაკლები სიგრძის მქონე ტრეკებისთვისაა. თუმცა, ისიც სათქმელია, რომ კლასიკური და აბსოლუტური მსოფლიო რეკორდიც ბოსს ეკუთვნის. შარშან დეკემბერში სპრინტში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა თეომ მოსკოვში, კრილატსკოეს ცნობილ ტრეკზე, ბოლო ორასი მეტრი 9,772 წამში დაფარა.

# ვინუსი პლუსებს ითვლის




AFP ფოტოები

**ანა ტატიშვილმა,** ბოგოტაში საკვალიფიკაციო ეტაპი წარმატებით კი გაიარა, მაგრამ, სამწუხაროდ, ძირითადი ტურნირის პირველივე წრეში დამარცხდა. ჩვენებურს საკმაოდ ძლიერი მეტოქე, ხორხელინა კრავერო შეხვდა, რომელიც არგენტინის მესამე ნომერია. ქართველმა მაგრად იბრძოლა და თითქმის სახლში მოთამაშე პატაგონიელს სეტიც აართვა, თუმც ბოლოსკენ ძალა აღარ ეყო და ტურნირს გამოეთიშა. ანგარიში კი ასეთი გახლდათ — 7:5 4:6 6:2 კრავეროს სასარგებლოდ.

ვინუს უილიამსის დაბრუნება წარმატებით მიმდინარეობს. ლამის ნახევარწლიანი შესვენების შემდეგ ამერიკელმა უკვე მეორე შეხვედრა მოიგო და მეოთხედფინალსაც უწია. უფროსი უილიამსი ამჯერად 16 წლის დანიელ კაროლინ ვოზნიაკის გაუსწორდა, თან წინა შეხვედრასთან შედარებით ვინუსი უფრო დამაჯერებლად თამაშობდა და ამიტომაც ორი სეტი იმყოფინა — 6:4 6:4. თუმც ამერიკელის ეს წარმატება იმის ბრალი უფროა, რომ თინეიჯერ დანიელს ასეთ ავტორიტეტთან თამაშის გამო მუხლები უკანკალებდა.

„გადამწყვეტ მომენტებში და ხანგრძლივი გათამაშებების დროს დღეს უკეთესად ვთამაშობდი. რაც უფრო მეტ დროს გავატარებ კორტზე, მით უფრო მალე მივუახლოვდები საჭირო კონდიციებს, ამიტომ მეოთხედფინალში გასვლით ბედნიერი ვარ. თან მაჯაც თითქმის არ მაწუხებს“ — ასე საუბრობდა ნამატჩევს თავის პროგრესზე ვინუსი.

ყველაზე დიდი და წარმომადგენლობით ტურნირი კი ამ კვირაში დუბაიში იმართება. კარგად დაიწყო ელენა იანკოვიჩმა, რომელმაც არავანე რეზაის უადვილესად გაუარა და მხოლოდ სამი გეიმი აალებინა. პატი შნიდერმა კი უკვე მეოთხედფინალს უწია, დაამარცხა რა ავსტრალიელი ალისია მოლიკი. თუმც შვეიცარიელმა ამჯერადაც ტანჯვა-წამება გაიარა და არაბეთის თაკარა მზის ქვეშ ისევ სამი სეტი გაატარა კორტზე — პატიმ პირველი პარტიის წაგების შემდეგ ბლომად ძალები შეალია მატჩის სათავაისოდ შემობრუნებას.

მეოთხედფინალშია დანიელა ჰანტუხოვაც, რომელიც რუსებს დაერია და ელენა ვესნინას გუშინ მარია კირილენკოც მიაყოლა. ერთი ეგაა, რომ 23 წლის სლოვაკს ამჯერად მაგრად გაუჭირდა და მეტოქე მხოლოდ გადამწყვეტი სეტის ტაიბრეიკზე გატეხა.

კაც ჩოგბურთელთა ტურნირებიდან კი როტერდამში მომხდარი ამბებით დავიწყოთ, სადაც პირველ დღეს გაგდებული მეოთხე ნომრის ტომაშ ბერდიხის შემდეგ მოულოდნელობის მაგვარიც არაფერი მომხდარა. მოიგო ყველამ, ვისაც ეს რანგით ეკუთვნოდა. ჩვენ კი ივან ლიუბიჩიჩის წარმატება გამოვყოთ, რომელმაც ნიკოლაი დავიდენკოს მსგავსად მალევე დაივიწყა ერთი კვირის წინ მარსელში განცდილი ფიასკო და ჰოლანდიაში კარგად დაიწყო, მან მასპინძელი ტიემო დე ბაკერი ორ სეტში დაამარცხა..

არ გასჭირვებიათ მოგება არც მეორე ნომერ ტომი რობრედოსა და მეხუთე ნოვაკ ჯოკოვიჩს. პირველმა კვალიფიკაციიდან მოხვედრილი იტალიელი სიმონ ბოლელი უადვილესად დასცა. 24 წლის ესპანელმა წლეულს ჰარდზე აშკარად მოუმატა და ამ საფარზეც ანგარიშგასაწევ ძალად იქცა. სერბს კი მხოლოდ პირველ სეტში გაუჭირდა, თორემ ფლორენ სერასთან მთლიანობაში პრობლემები არ შექმნია.

მემფისში მოქმედი ჩემპიონის, ტომი ჰაასის წარმატება ავღნიშნოთ, რომელმაც განსაკუთრებით კარგად თავის მოწოდებაზე ითამაშა და მასპინძელ ვინსენტ სპადეას ბრეიკის გაკეთების შანსიც არ მისცა. გერმანელმა 6:4 6:1 იმარჯვა.

**ბახა ლომჯვილი**



## რეგულარული ჩემპიონატი



მონრეალელმა შენდონ სურემ ვაშინგტონელი ალექსანდრ სიომინი არ გაატარა

20 თებერვალი

**კაროლინა 1:3 ატლანტა**
*0:0 1:0 0:3*
1:0 ბრინდამორი (38), 1:1 ჰოსა (46), 1:2 კოვალჩუკი (58), 1:3 ბულტონი (59)

**ბუფალო 6:3 ფილადელფია**
*2:1 2:1 2:1*
1:0 როი (5), 1:1 განიე (12), 2:1 პიტერსი (13), 3:1 მეირი (22), 4:1 ბრიარი (23), 4:2 განიე (31), 4:3 კაპანენი (46), 5:3 დრური (48), 6:3 პომინვილი (54)

**ტორონტო 0:3 ბოსტონი**
*0:1 0:2 0:0*
0:1 ჩისტოვი (8), 0:2 აქსელსონი (35), 0:3 იორკი (38)

**კოლორადო 4:3 კალგარი**
*3:2 0:1 1:0*
1:0 შჩასტნი (8), 1:1 ამონტე (10), 2:1 შჩასტნი (14), 2:2 ფანეფი (19), 3:2 ჰეიდუკი (20), 3:3 ჰუსელიუსი (26), 4:3 სვატოში (42)

**მონრეალი 5:3 ვაშინგტონი**
*3:0 1:3 1:0*
1:0 ჰიგინსი (8), 2:0 რაიდერი (15), 3:0 ჰიგინსი (16), 3:1 სატერბი (23), 3:2 ჰიუორდი (23), 4:2 რაიდერი (37), 4:3 სიომინი (40), 5:3 მიური (60)

**ოტავა 4:3 ედმონტონი**
*1:0 1:0 1:3 0:0 (1:0 ბულიტები)*
1:0 ჰითლი (15), 2:0 ფიშერი (33), 2:1 სიკორა (42), 3:1 ალფრედსონი (53), 3:2 სიკორა (56), 3:3 ჯილბერტი (60)

**ტამპა 3:2 ფლორიდა**
*1:1 0:1 1:0 0:0 (1:0 ბულიტები)*
1:0 კრეგი (3), 1:1 ჰორტონი (6), 1:2 ჰორტონი (51), 2:2 სენ ლუი (48)

**სენტ ლუისი 5:4 კოლუმბუსი**
*0:1 2:2 2:1 0:0 (1:0 ბულიტები)*
0:1 ვიბორნი 14), 1:1 გერინი (23), 2:1 სტემპნიაკი (31), 2:2 ჩიმერა (37), 2:3 ჰეჩსი (40), 3:3 ბეიკსი (49), 4:3 ბეკმანი (51), 4:4 ნეში (60)

**მინესოტა 2:1 დალასი**
*0:0 1:1 0:0 0:0 (1:0 ბულიტები)*
1:0 როლსტონი (39), 1:1 ჰაგმანი (39)

**ანაჰაიმი 2:3 ვანკუვერი**
*1:0 1:1 0:1 0:1 (ოვერტაიმი)*
1:0 ბრუნეტი (7), 1:1 ბეკსა (28), 2:1 კუნიცი (40), 2:2 ნესლუნდი (45), 2:3 დ. სედინი (63)

**ნიუ ჯერსი 2:1 რეინჯერსი**
*1:0 0:1 1:0*
1:0 რაფალსკი (9), 1:1 პრუხა (37), 2:1 პარიზე (53)



## სპენსერი ჩაფულიანდა



ინგლისური „ნორთჰემტონის“ ჯადო მორაგბე კარლოს სპენსერი კარიერას ელიტარულ ფრანგულ კლუბ „აჟანში“ გააგრძელებს. 31 წლის ზელანდიელ მეათე ნომერს ნააზალწლევს სამშობლოში დაბრუნება და ზე-14-ში თამაში სურდა, რადგან ნაკრებში დაბრუნებას აპირებდა, მაგრამ შეიტყო, რომ საოლბლექსო კონკურენციას ვერ გაუძლებდა და ევროპაში დარჩა.

სპენსერი 2003 წლის მსოფლიოს თასიდან თავისი ჯამბაზური პასებით გვახსოვრებათ. უბადლო მეპასეს „შავებში“ 35 კეპი მოუხვეჭავს, ახლა კი ფრანგული „აჟანის“ შეტევებს გაუძღვება. კონტრაქტით სპენერი „აჟანში“ 2009 წლამდე დარჩება და რაგბისთვის ძალიან სოლიდურ თანხას, 2 მილიონ 100 ათასს ევროს ჩაიჯიბავს.

## შაბალის წამალი ინგლისია



საფრანგეთის ნაკრების ახალი ჯილას სებასტიან შაბალის ტრავმა არც ისეთი სერიოზული გამოდგა, როგორც ვარაუდობდნენ. ფრანგთა მბოჭავს და მლეტელს ტერფი ირლანდიასთან ჯახში ეტკინა, როცა ზედახორაში მეტოქე მორკინალებმა გადაუარეს. „შაბალის ტრავმა საშიში არ არის. მას ერთკვირიანი უქმობა მოუწევს და იქითა კვირას, ინგლისთან მატჩისთვის სრულ მზადყოფნაში იქნება“ — განაცხადა საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელმა ბერნარ ლაპორტმა.

ამ უქმეებზე უელსთან მატჩში შაბალს ვეტერანი მორკინალი ელვის ვერმიულენი შეცვლის.

## ჰაინესს მსოფლიოს აჩვევენ

შოტლანდიელთა ტომით ავსტრალიელი მორკინალი ნატან ჰაინესი იტალიასთან გასამართი მატჩის 22-კაცა განაცხადში მოხვდა. მართალია, ჰაინესი სათადარიგო იქნება, მაგრამ სკოტთა მწვრთნელ ფრენკ ჰადენის თქმით, წარმოშობით ავსტრალიელს საკმაო სათამაშო დრო ექნება. „ჰაინესი მშვენიერი მეორეხაზელია და შავ სამუშაოს ფრიადზე ასრულებს. მას აუცილებლად წავიყვან მსოფლიოს თასზე. მანამდე კი ნაკრებს ეტაპობრივად შევაჩვევ“ — განაცხადა შოტლანდიელთა მწრთნელმა.

## ღმერთი დაბრუნდა



ინგლისთან ისტორიული მატჩისწინა შეკრებას განაგრძობს ირლანდიის ნაკრები, რომელსაც როგორც იქნა, ტრავმის შემდეგ დაუბრუნდა „ღმერთად“ წოდებული შუამარბი ბრაიან ოდრისკოლი. ოდრისკოლი ორი კვირის წინ უელსთან მატჩში დაშავდა და საფრანგეთთან შეხვედრა გამოტოვა. უიმისოდ კი კელტებმა დუბლინში მატჩი-ტრილერი წააგეს. „ახლა ჯანზე ვარ, არაფერი მაწუხებს და ინგლისს მთელი ძალით შევებრძოლები“ — თქვა ოდრისკოლმა.

## მსოფლიო უტომპსონოდ ჩაივლის



ინგლისის ნაკრების შერკინების ძირითადი პირველხაზელი სტივ ტომპსონი ისე დაიმტვრა, რომ შემოდგომაზე გასამართ მსოფლიოს თასსაც გამოტოვებს. ტომპსონი 2003 წლის მსოფლიოს თასის მომგებ ნაკრებში შერკინების „ტვინად“ ითვლებოდა და ინგლისელთა ახალი მწვრთნელი ბრაიან ეშტონიც მასზე აგებდა შერკინების თამაშს.

ტომპოსნმა ინგლისის ჩემპიონატის მატჩში ხერხემლის დაზიანება მიიღო და მინიმუმ ცხრა თვით აეკრძალა ვარჯიში. „ძალიან იმედგაცრუებულები ვართ. გადაწყვეტილია, რომ ტომპსონი მსოფლიოს თასზე ვერ ითამაშებს. მთელი გუნდი გვერდში დავუდგებით, პირადად დავეხმარები, რომ რაც შეიძლება მალე დაიწყოს ვარჯიში“ — განაცხადა ინგლისის „ნორთჰემპტონის“ მწვრთნელმა პოლ გრეისონმა.

# ჩემპიონთა ლიგა 2006-2007
## მეოთხედფინალი. პირველი მატჩები. გუშინ

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ბარსელონა (ესპანეთი) 1:2 ლივერპული (ინგლისი)**
1:0 დეკუ (14), 1:1 ბელამი (43), 1:2 რიისე (74)
ბარსელონა: ვალდესი, ბელეტი, მარკესი, პუიოლი, ძამბროტა, ხავი (ჟიული 65), მოტა (ინიესტა 54), დეკუ, მესი, რონალდინიო, სავიოლა (გუდიონსენი 82)
მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი
ლივერპული: რეინა, არბელოა, კარაგერი, აგერი, რიისე, ფინანი, სისოკო (ზენდენი 84), ხაბი ალონსო, ჯერარდი, ბელამი (პენანტი 80), კუიტი (კრაუჩი 90)
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
გაფრთხილება: ბელეტი, აგერი, ძამბროტა, კუიტი, სისოკო, ბელამი
მსაჯი: კ. ვასარასი (საბერძნეთი)
88 000 მაყურებელი

**ინტერი (იტალია) 2:2 ვალენსია (ესპანეთი)**
1:0 კამბიასო (29), 1:1 ვილია (64), 2:1 მაიკონი (76), 2:2 სილვა (86)
ინტერი: ჟულიო სეზარი, ი. კორდობა, ხ. ძანეტი, ბურდისო, მატერაცი, მაიკონი, კამბიასო (დაკური 31), სტანკოვიჩი, ფიგუ (სოლარი 89), კრესპო (კრუზი 68), იბრაჰიმოვიჩი
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
ვალენსია: კანისარესი, მიგელი, აიალა, მარჩენა, მორეტი, ალბელდა, ალბიოლი, სილვა (ხორხე ლოპესი 90), ანგულო (ხოაკინი 83), მორიენტესი (ვიანა 76), ვილია
მწვრთნელი: კიკე სანჩეს ფლორესი
გაფრთხილება: ალბელდა, მარჩენა, ბურდისო, ძანეტი
მსაჯი: მ. ჰანსონი (შვედეთი)
22 608 მაყურებელი

**პორტუ (პორტუგალია) 1:1 ჩელსი (ინგლისი)**
1:0 მეირელეში (12), 1:1 შევჩენკო (16)
პორტუ: ელტონი, პეპე, პ. ასუნსაო, ბ. ალვეში, პოშტიგა (ადრიანუ 77), ლიპესი, ბოსინგვა, ფუსილე (ბ. მორაეში 65), ლ. გონსალესი, კვარესმა, მეირელეში (მ. ჩეხი 56)
მწვრთნელი: ჟესუალდო ფერეირა
ჩელსი: პ. ჩეხი, რ. კარვალიუ, ტერი (რობენი 13; მიკელი 46), ბრიჯი, ესიენი, მაკელელე, ლამპარდი, ლ. დიარა, ბალაკი, დროგბა, შევჩენკო (ს. კალუ 88)
მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ
გაფრთხილება: მაკელელე, ესიენი, პ. ჩეხი, ბალაკი, პეპე
მსაჯი: მ. ბუსაკა (შვეიცარია)
49 000 მაყურებელი

**რომა (იტალია) 0:0 ლიონი (საფრანგეთი)**
რომა: დონი, პანუჩი, მექსეში, ფერარი, ტონეტო, დ. პიზარო, მანსინი (ვილჰელმსონი 76), პეროტა, დე როსი, ტადეი (ვუჩინიჩი 86), ტოტი
მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი
ლიონი: კუპე, კლერი, კრისი, სკილაჩი, აბიდალი, ტულალანი, ტიაგუ, ჟუნინიო, მალუდა, გოვუ, ფრედი (ბაროში 74)
მწვრთნელი: ჟერარ ულიე
გაფრთხილება: მექსეში, პანუჩი, ჟუნინიო, პიზარო, მანსინი, გოვუ, ტულალანი, ტადეი, ტოტი, ტონეტო, დე როსი
მსაჯი: მ. რაილი (ინგლისი)
55 000 მაყურებელი

# სტივ ჯი და ყვანჯი


AFP

**თუკი** ვინმე ლოთი და თავზეხელაღებული იყო „ლივერპულში“, ყველა გამოაჯირითა რაფა ბენიტესმა „კამპ ნოუზე“ და „ბარსელონასთან“ უმნიშვნელოვანეს შეხვედრაში გაიმარჯვა კიდეც.

აგერ ახლა იყო, პორტუგალიაში ბელამიმ და რიისემ რომ იჩხუბეს, გალეშილმა ლივერპულელებმა ერთმანეთს გოლფის ყვანჯები უხათქუნეს კოჭებში და კარგა გვარიანი ფულადი ჯარიმებიც აიკიდეს.

ჩხუბისთავი კრეიგ ბელამი იყო — ბრიტანული გაზეთები წერდნენ, უელსელ-ნორვეგიელი ერთმანეთს ცხოვრებაში არ შეურიგდებიანო, მაგრამ...

შერიგდნენ და, მერე როგორ! გუშინ ღამით ბელამიმ „ბარსას“ ანგარიში გაუთანაბრა, რიისემ კი გამარჯვების გოლი შეაგდო და კატალონიური გრანდი დილემის წინ დააყენა — წინ „ენფილდია“, „ბარსამ“ კი შინ მეკარისა და უკანახაზელთა უსუსურობის გამო თითქმის მოგებული თამაში წააგო...

კატალონიელებს „კამპ ნოუზე“ „ლივერპულთან“ აქამდე არ მოუგიათ და მათთვის ეს სამწუხარო ტრადიცია 21 თებერვალსაც გაგრძელდა...

მეორე ესპანურმა კლუბმა „ვალენსიამ“ დიდი ომი გადაიხადა მილანის „სან სიროზე“.

მოგახსენებთ, რომ რობერტო მანჩინის „ინტერნაციონალე“ არის მონსტრი, რომელსაც 2006 წლის 27 სექტემბრის შემდეგ ოფიციალური მატჩი არ წაუგია.

ასე მოხდა „ლამურებთანაც“ — იტალიელები ორჯერ იგებდნენ, მაგრამ კიკე სანჩეს ფლორესის ბიჭებმა თავი არ შეირცხვინეს და დავიდ ვილიასა და სილვას გოლებით თამაში ფრედ დასრულდა.

„ინტერიდან“ ესტებან კამბიასომ და მაიკონმა გაიტანეს.

ახლა მთავარი ამბები „მესტალიაზე“ იქნება და მოგებასთან დამაკაცებულ იტალიელებს ესპანეთში დიდი ოფლის ღვრა მოუწევთ.

„რომას“ ლიგის მეოთხედფინალისთვის არასდროს მიუღწევია. „გლადიატორებს“ კარგი შანსი ჰქონდათ შინაურ „სტადიო ოლიმპიკოზე“ ბოლოხანს შეფერთხილი „ლიონი“ დაეჯაბნათ, მაგრამ მატჩი უგოლოდ მორჩა და „რომა“ სანუკვარი მიზნისგან ისევ შორს რჩება.

რომაელებმა თავიანთ არენაზე მეცხრე მატჩია, წაგება არ იცის, ხოლო ფრანგებზე გამარჯვება საამსეზონო ლიგაში ჯერ ვერავინ მოახერხა.

და ბოლოს, ჟოზე მაურინიუ თავისი ყოფილი „პორტუს“ წინააღმდეგ. ეს მატჩიც ფრედ დასრულდა — პირველ ტაიმში რაულ მეირელეშის სწრაფ გოლს ანდრეი შევჩენკომ მალევე უპასუხა და „ჩელსიც“ პორტუგალიელებს დაუზავდა.

ლუზიტანთა სამწუხაროდ, „დრაგაუს“ შეხვედრა ლონდონელთა პორტუში წინა ვიზიტისამებრ არ წარმართულა — მაშინ, 2004 წლის ბენი მაკარტის ბრწყინვალე ბურთაობით პორტუგალიელებმა მოიგეს.

**ლადო ხომერიკი**


AFP

ჟოზე მაურინიუ ჩვეულ სტიქიაშია


AFP

დავიდ ვილიას გამთანაბრებელი ჟულიო სეზარის კარში

### ინგლისი

| |
|---|
| **პრემიერლიგა გადადებული მატჩები** |
| უოტფორდი 1:1 უიგანი |
| ევერტონი 1:2 ტოტენჰემი |
| **ჩემპიონატი XXXIV ტური** |
| დერბი 0:2 სტოკი |
| **მეორე ლიგა XXXIV ტური** |
| ჩესტერი 1:0 ბერი |
| **FA თასი** |
| ბრისტოლი 0:0 როვერსი |

### გერმანია

| |
|---|
| **ჩრდილოეთ რეგიონალლიგა გადადებული მატჩები** |
| დორტმუნდი (მ) 0:1 ზტ პაული |
| ვილჰელმშაფენი 2:1 ვერდერი (მ) |

### შოტლანდია

| |
|---|
| **მეორე დივიზიონი გადადებული მატჩი** |
| ეირი 0:2 რეითი |

### ფინეთი

| |
|---|
| **ლიგის თასი** |
| ჰიკი 2:1 კტპ |
| მარიეჰამნი 0:1 ჰონკა |


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვაჟა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გია ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბეხელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა ღოღრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge